120 ათასი ტონა მარცვლეული — საშოგლოს ხელელში

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

КОМУНИСТИ—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 აგვისტო, შაბათი 1973

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 193 (15710)

საქართველოს სს რესპუბლიკამ შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი

საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიმდინარე წელს მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალი მოიწიეს დ შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის ვალდებულებანი.

დამამზადებელმა პუნქტებმა რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან **მიიღეს 120 ათასი ტონა მარცვლეული. მიყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა შესრულდა 121 პროცენტით.** გადაჭარბებით შესრულდა ხორბლისა და ქერის მიყიდვის გეგმები.

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვა გრძელდება.

რესპუბლიკაში გაიშალა შეჯიბრება, რათა რაც შეიძლება მალე დაამთავრონ მოსავლის აღება, შეასრულონ სახელმწიფოსათვის სიმინდის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა სახეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმები და ვალდებულებანი, წარმატებით გამოაზამთრონ პირუტყვი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

რესპუბლიკის მრეწველობისა და მეშენებლობის ზოგიერთ საწარმოში დაუდგენელი მოწყობილობის გამოუყენებისა და შენახვისადმი უყაირათო დამოკიდებულების შესახებ

სსრკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიული კონტროლის კომიტეტმა მოაწყო შემოწმება, რომლის შედეგად საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის მთელ რიგ საწარმოებში გამოვლინდა დაუდგენელი მოწყობილობის გამოყენებისა და შენახვისადმი უყაირათო დამოკიდებულების ფაქტები.

მთლიანად რესპუბლიკაში, 1973 წლის 1 იანვრისათვის არიცხებოდა 35 მილიონი მაწეთზე მეტი ღირებულების დაუდგენელი და თითქმის 250 ათასი მანეთის ზედმეტი მოწყობილობა.

1971 წელთან შედარებით ზედმეტი მოწყობილობის მარაგი სწყობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და თითქმის 3,6 მილიონი მანეთი შეადგინა.

1972 წელს დაუდგენელი მოწყობილობის მარაგი სწყობებში გაიზარდა ელექტროტექნიკურ მრეწველობის, საბჭოთა მეურნეობების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროთა საწარმოებში და მშენებლობებზე.

ასევე მოწყობილობის მარაგი მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის, ხორცისა და რძის მრეწველობის და მთელ რიგ სხვა სამინისტროთა სისტემებში. მნიშვნელოვნად გაიზარდა დაუდგენელი ახალი იმპორტული მოწყობილობის მარაგი ხელსაწყოთმშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, ქიმიისა და ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოებში.

დაუდგენელი მოწყობილობის მნიშვნელოვან ნაწილს ინახავენ ღია ცისქვეშ, იგი განიცდის ატმოსფერული ნალექების ზეგავლენას, იჟანგება, იშლება კომპლექტები, სწყობებში ლიხანის ყოფნის გამო მორალურად ძველდება და ჯართად მიდის.

მაგალითად, ენგურჰესის მშენებლობის (უფროსი მ. ა. ცისკარიშვილი) მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს ზუგდიდის ბაზაში 1966 წლიდან ღია ცის ქვეშ აწყვია და კოროზია აფუჭებს კუბიშევიდან ჩამოტანილ საბაჟო გზის ლითონკონსტრუქციებს. იქვე ყრია ფაყალმილების 178 ტონა მოსაპირკეთებელი მასალა და 73 ათასი მანეთის ნაწილები. ამ სამმართველოს ჯვარის ბაზაში ინახება ალალიკიდური ფასეულობებად ჩაწერილი 560 ათასი მანეთის სხვადასხვა დეტალი, მათ შორის 200 ათასი მანეთის ღირებულების ბურღის გვირგვინები, რომლებიც აქ არავის არ სჭირდება. გარდა ამისა, აღნიშნულ ბაზებში 1965-1970 წლებში მიღებულია 176 ათასი მანეთის ზედმეტი მოწყობილობა, რომელიც ავრეთვე სათანადოდ არ არის დაცული. იმისათვის, რომ ეს სავალალო სურათი დაემალა, სამმართველოს ბუღალტერიამ დაუდგენელი მოწყობილობის რაოდენობის ღირებულება 808 ათასი მანეთიდან 408 ათას მანეთამდე შეამცირა, ხოლო 400 ათასი მანეთის მოწყობილობაზე შეადგინა ფიქტიური დოკუმენტები, თითქოს სამონტაჟოდ იყო გადაცემული.

რუსთავის ქიმიურ კომბინატში (დირექტორი გ. ტ. გოგოლაძე) დაგროვდა 2,6 მილიონზე მეტი ღირებულების დაუდგენელი მოწყობილობა, მათ შორის თითქმის 450 ათასი მანეთის ზედმეტი მოწყობილობა. ზენორმატიული მარაგი, რომელიც კრედიტში არა აქვს შეტანილი სამშენებლო ბანკს 1,5 მილიონ მანეთის შეადგენს, ამასთან ერთად მისასვლელი გზების **გასწორივ შეუფუთავად** ყრია 1.750 ათასი მანეთის აპარატურა, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები, ელექტრომოტორები და სხვა მექანიზმები.

საქართველოს საყოფაცხოვრებო ქიმიის ფირმაში (დირექტორი ფ. ი. ყარაფილი) ერთი წლის მანძილზე ყუთებში გადაუზურავად დევს 150 ათასი მანეთის ღირებულების ამპერტული ავტომატური ხაზი, ღია ცის ქვეშ იყენგების 1970 წლს მიღებული ავტომობილის სასწორი, სამი სატვირთო ლიფტი, ფილტრები, ვენტილატორები და სხვა მექანიზმები.

თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანების (გენერალური დირექტორი ტ. მ. ჯვარშვილი) № 2 მშენებარე კორპუსის ერთ ნაწილში ინახება ძველი ტარა, ხოლო ცოდად შეფუთული მოწყობილობა აწყვია ღია მოედანზე.

მთელ რიგ საწარმოებში აგვიანებენ დამონტაჟებული მოწყობილობის საექსპლოატაციოდ გადაცემას. მაგალითად, თბილისის ფარმაცევტულ ფაბრიკაში (დირექტორი ვ. ვ. ოსაბერიძე) 1971 წლის ოქტომბერში დაამონტაჟეს ამპულების საამქროს 38,5 ათასი მანეთის საერთო ღირებულების 55 ერთეული მოწყობილობა, რომელსაც დღემდე არ იყენებენ. ენგურჰესის მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს ჯვარის ბაზაში დიტალების უქონლობის გამო 1970 წლიდან არ მუშაობს „ბკ-1000“ მარკის ამწე, რომლის ღირებულება 165 ათას მანეთს აღემატება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა შექმნილი მდგომარეობა და მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა, რომ ეს ამ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხისადმი რესპუბლიკის ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელების უყაირათო, ზოგჯერ კი დანაშაულებრივად დაუდევარი დამოკიდებულების, შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, პარტიული, კომკავშირული და საბჭოთა ორგანოების მხრივ უკონტროლობის შედეგია, რომლებმაც არ განახორციელეს საჭირო ღონისძიებანი „მშენებარე და რეკონსტრუირებულ სამრეწველო საწარმოებში მოწყობილობის საექსპლოატაციოდ გადაცემის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 22 სექტემბრის დადგენილების შესასრულებლად.

ამ საქმეში დამნაშავენი არიან აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც აგვიანებენ ან უფუშავენ ხამონტაჟოდ მშენებარე საამქროებისა და ობიექტების გადაცემის დადგენილ ვადებს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო (უფროსი ვ. ვ. კოლუა) სრულად ვერ იყენებს ზედმეტი დაუდგენელი მოწყობილობის რეალიზაციის საშუალებებს.

დაუდგენელი მოწყობილობის უყაირათო გამოყენებისა და შენახვის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერჯერობით აქტივობასა და პრინციპულობას ვერ იჩენენ რესპუბლიკის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სახალხო კონტროლის კომიტეტები, ჯგუფები და საგუშაგოები.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები იშვიათად განიხილავენ დაუდგენელი მოწყობილობის გამოყენებისა და შენახვის საკითხებს, არ ახორციელებენ ქმედითს ღონისძიებებს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს, საქართველოს კომპარტიის ბიუროსა, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, ერთი თვის ვადაში განიხილონ მრეწველობისა და მშენებლობის საწარმოებში დაუდგენელი მოწყობილობის გამოყენებისა და შენახვის მდგომარეობა, განსაზორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი ამ დიდმნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო საქმეში სახელმწიფო წესრიგის დასამყარებლად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტს დაევალა საფუძვლიანად ანალიზებდეს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა განაცხადებს, რათა თავიდან იქნას აცილებული საქართველოს სსრ საწარმოებში და მშენებლობებზე დაუდგენელი მოწყობილობის მარაგის დაუსაბუთებელი გადიდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ უნდა გაამეიერის მუშაობა რესპუბლიკის მრეწველობისა და მშენებლობის საწარმოებში ზედმეტი დაუდგენელი მოწყობილობის გამოვლინებისა და დროულად რეალიზაციისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს დაევალა განიხილოს მრეწველობისა და მშენებლობის ამ დადგენილებაში აღნიშნული ობიექტებზე დაუდგენელი მოწყობილობის შენახვისა და გამოყენების მდგომარეობისათვის სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონული კომიტეტებს, აგრეთვე ჯგუფებისა და საგუშაგოების პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველოს პროფსაბჭოსა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიეცათ რეკომენდაცია პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის, „კომკავშირული პროექტორის“ შტაბებისა და საგუშაგოების მეცადინეობა წარმართონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დაუდგენელი მოწყობილობის გამოყენებისა და შენახვის საქმეში უყაირათობის გამოვლინებათა ნინააღმდეგ, საბრძოლველად. უფრო თამამად გამოავლინონ მატერიალურ ფასეულობათა მიმართ უპასუხისმგებლო და დაუდევარი დამოკიდებულების ფაქტები და ყოველი ღონე იხმარონ მათი აღმოფხვრისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა საქართველოს სსრ მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს, საქმთაავარმონტაჟსპეცმშენს, ყველა სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციის ხელმძღვანელებს მიაღწიონ მშენებარე საამქროებისა და ობიექტების სამონტაჟოდ გადაცემის, რესპუბლიკის მშენებარე და რეკონსტრუირებულ საწარმოებში ახალი საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების ტემპების ამაღლებისა და ამ მოძრაობაში საბჭოთა სპორტული ორგანიზაციების მონაწილეობის, რომლებიც ყოველთვის მხარს უჭერენ საერთაშორისო სპორტულ კავშირის გაფართოებას ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ეცნობიან ქართული მეტალურგიის გაკვითარების პროგლემებს

15 აგვისტოს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ეწვივნენ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრი ი. პ. **კაზანეცი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. დ. ჯავახიშვილი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ზ. ა. პატარიძე**, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ი. ვადაჭკორია**. ისინი გაეცნენ საწარმოს კოქსქიმიური, ბრძმედის, მარტენის, საგლინავი საამქროებისა და საგლომერაციო ფაბრიკის მუშაობას, ესაუბრნენ მუშებს, გამოიკითხეს, თუ როგორ სრულდება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის სახელმწიფო დავალებანი, ისაუბრეს ქარხნის შემდგომი განვითარების, შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, წარმოების ინტენსიფიკაციის, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების საკითხებზე.

ახსნა-განმარტებას იძლეოდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი **ო. ნ. ხულაძე.**

16 აგვისტოს ამხანაგები **ი. პ. კაზანეცი, გ. დ. ჯავახიშვილი, ზ. ა. პატარიძე, ვ. ი. ვადაჭკორია** იყვნენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. მათ დათვალიერეს ქარხნის ძირითადი საამქროები, გაეცნენ მათი კოლექტივების მუშაობას, ესაუბრნენ საწარმოს მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, გამოიკითხეს, თუ როგორ მიდის მათი საწარმოო საქმიანობა და როგორია საყოფაცხოვრებო პირობები. შემდეგ იყვნენ ქარხნის ახალ საწარმოო კორპუსების მშენებლობაზე, რომელთა აგებას დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოსათვის.

სტუმრებს ახსნა-განმარტებას აძლევდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი ა. ა. ცქიტიშვილი. (საქინფორმი).

ქართული ჰოეზიის სიამაყე

გალაკტიონ ტაბიძის იუბილეს გამო

ბუშინ. 17 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დბადების 80 წლისთავის მომწყობი რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის სხდომა.

იმფორმაციი იუბილესათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ გაკაეთა კომიტეტის მდივანმა ს. ჭილაია. მან, აღნიშნა, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის დღესასწაულისათვის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გამოუშვებს მისი თხზულებების მეათე და მეთერთმეტე ტომებს. დასაბეჭდად მომზადებულია მეთორმეტე ტომი, რომელშიც შევა პოეტის გამოუქვეყნებელი ხაარქივი მასალები. იუბილესათვის გამოვა რჩეული ლექსების ეფოტომეული, რომელიც შედგენილ ა. აბაშიძეს და ს. ლებანიძეს. მკითხველები მიიღებენ გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ მოგონებათა, სტატიათა და ლექსთა კრებულს, რომელსაც გამომცემლობა „განათლება“ გამოუშვებს.

რუსი მკითხველისათვის საიუბილეოდ გამომცემლობა „მერანი“ ბეჭდავს გალაკტიონის „რჩეულს“ აგრეთვე ორტომეულს, რომლებმაც დაიბეჭდება ცხობილი საბჭოთა პოეტების მიერ თარგმნილი ლექსები. ამ დირსშესანიშნავი თარიღისათვის ქართულ და რუსულ ენებზე მომზადდა მონოგრაფიები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე.

იუბილეს დღეებში გაიხსნება გამოფენები — გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში და პოეტის სამშობლო სოფელ ჭყვიშში.

საქართველოს პროფსაბჭო და რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოება აწყობენ მსატვრული კითხვის ოსტატური კონკურსს პოეტის ნაწარმოებთა საუკეთესო შესრულებისათვის. ქართველი კომპოზიტორები ქმნიან მუსიკალურ ნაწარმოებებს გალაკტიონ ტაბიძის ლექსებზე, რომელთაგან საუკეთესონი შესრულდება იუბილეს დღეებში.

პოეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმები გაიმართება 1-4 ნოემბერს. ჩატარდება საქართველოს მწერალთა კავშირის საიუბილეო პლენუმი სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნოს წევრების, მოძმე რესპუბლიკების მწერალთა კავშირების ხელმძღვანელთა მონაწილეობით. გაიმართება რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია.

თბილისში საძირკველი ჩაეყრება პოეტის ძეგლს. საიუბილეო ზეიმის მონაწილეები და სტუმრები მოსაწყინლეობას მიიღებენ მშრომელთა მიტინგში მთაწმინდაზე.

საიუბილეო ზეიმი გაიმართება. გალაკტიონ ტაბიძის შობლიურ სოფელ ჭყვიშში. აქ გაიხსნება პოეტის სახლ-მუზეუმი. ამ თარიღს ფართოდ აღნიშნავენ ქუთაისის, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების, ოქტის, ქალაქების, რაიონული ცენტრების მშრომელები. მსხვილ სარეწველო საწარმოებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გაიმართება ლიტერატურული საღამოები.

გამოვიდა ღია ბარათები, კონვერტები და მარკები, რომლებზეც გამოსახულია პოეტი.

იუბილეს დასკვნითი აკორდი იქნება დიდი საზეიმო სხდომა პოეტის 80 წლისთავის აღსანიშნავად, რომელიც გაიმართება საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში. პოეტის იუბილეს ეღღესასწაულებენ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ — მოსკოვში.

სხდომაზე გამოვიდნენ საიუბილეო კომიტეტის წევრები გ. აბაშიძე (თავმჯდომარის მოადგილე), ჯ. ჩარკვიანი, გ. მარგველაშვილი, დ. ანთაძე, მ. ლებანიძე, გ. ჯიბლაძე, ბ. ჟღენტი, ი. ნონეშვილი, უ. ჯაფარიძე, ა. ბალანჩივაძე, ნ. გურეშიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. თავაშამიშვილი, თბილისის მთავარი არქიტექტორი შ. ყაფლაშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. გურაბანიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. დავალიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. შამათავა.

სხდომის შედეგები შეაჯამა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ. (საქინფორმი).

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ალმა-ათაში

16 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი დ. ა. კუნაევი მედგომს ხეობას ეწვივნენ.

მათთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ნ. ნურიევი, სსრ კავშირის დამზადების მინისტრი ბ. ხ. ზოლოტუხინი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ხ. ბ. ნიაზბეკოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. აშიმოვი.

ამხანაგებმა დ. ა. კუნაევმა და ბ. ა. აშიმოვმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს უამბეს, თუ რა მუშაობა გასწიეს ალმაათელმა მშრომელებმა, მშენებლებმა, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა და ჯარის შენაერთებმა, რომლებმაც გმირული შრომით აიცილეს ქალაქს ღვარცოფის საფრთხე.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა სპეციალისტებს და მშენებლებს, რომლებიც ღვარცოფსაწინააღმდეგო კაშხალის გაბაგრებისათვის მუშაობენ. მან მოიწონა ღვარცოფსაწინააღმდეგო სამუშაოთა პროექტი, რომელიც რესპუბლიკაში შეიმუშავეს.

მედგომს დამთავრებული საიგიგურაო სტადიონის დათვალიერების დროს ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, დ. ა. კუნაევს, ს. ბ. ნიაზბეკოვს, ბ. ა. აშიმოვს მიესალმნენ საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონები ირინე როდნინა და ალექსანდრე ზაიცევი, აგრეთვე ამ საციგურაოზე მოვარჯიშე სხვა სპორტსმენები. (საკდესი).

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ალმა-ათიდან გაემგზავრა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი 16 აგვისტოს ალმა-ათიდან გაემგზავრა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ბ. ვ. ცუბანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ვ. ა. გოლიცოვი.

აეროპორტში ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გაეცილნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ა. კუნაევმა, სსრ კავშირის დამზადების მინისტრმა ბ. ხ. ზოლოტუხინმა, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ხ. ბ. ნიაზბეკოვმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ა. აშიმოვმა, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების, ალმა-ათის ოლქისა და ქალაქ ალმა-ათის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. (საკდესი).

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სარატოვში

სარატოვი. 17 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა სარატოვის ოლქის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, აქტივის კრებაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი, რომელსაც დამსწრენი უიღრესად გულთბილად და გულთბილად შეხვდნენ.

სკკპ სარატოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ი. შიბაევმა, პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანმა ა. ტ. ტოჩკამ, ა. თ. კოზბაროდოვმა, ვ. ს. ლუგოვეცმა, ვ. რ. სონინმა, ი. თ. პავლოვმა, ა. ი. პოლიაკოვმა კრების მონაწილეებს მოახსენეს, თუ როგორ სრულდება სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც ოლქის მშრომელებმა იკისრეს ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს მრეწველობის განვითარების, კაპიტალური მშენებლობის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

აქტივის კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება მომდინარე წელს სახელმწიფოსათვის 280 მილიონი ფუთი მარცვლეულის მიყიდვის შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისათვის ვოლგის კომპლექსურად გამოყენების საკითხებს. შუა ვოლგისპირეთის წყალმშენის მთავარი სამმართველოს უფროსმა ი. ბ. **კუზნეცოვმა,** კრებას მოახსენა, თუ როგორ სრულდება ვოლგისპირეთის სარწყავ მიწაზე მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გარანტირებული წარმოების დიდი რაიონების შექმნის ფართო პროგრამა, რომელიც პარტიამ შეიმუშავა.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა **ლ. ი. ბრეჟნევმა.**

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სარატოვში

16 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** სარატოვში ჩამოვიდა.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **ბ. ე. ცუბანოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **ვ. ა. გოლიცოვი.**

აეროდრომზე ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევს** შეხვდნენ სკკპ სარატოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ი. შიბაევი,** საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე **ნ. ს. ალექსანდროვი.** სკკპ საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. (საკდესი).

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სარატოვიდან გაემგზავრა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** 17 აგვისტოს სარატოვიდან გაემგზავრა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გასაცილებლად აეროდრომზე მოვიდნენ სკკპ სარატოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. შიბაევი, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ს. ალექსანდროვი, სკკპ საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები. საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. (საკდესი).

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვში დაბრუნდა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** 17 აგვისტოს მოსკოვში დაბრუნდა. (საკდესი).

ჯ. ნ. კოსიგინი ესაუბრა მ. კილანინს

16 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. **კოსიგინმა** კრემლში მიიღო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლორდი მ. კილანინი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება როგორც უნიფორსიადის საპატიო სტუმარი.

გამართული საუბრის დროს შეეხენენ ოლიმპიურ სპორტულ მოძრაობასა და ამ მოძრაობაში საბჭოთა სპორტული ორგანიზაციების მონაწილეობას, რომლებიც ყოველთვის მხარს უჭერენ საერთაშორისო სპორტულ კავშირის გაფართოებას ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

საუბარში, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ხ. პ. **პავლოვი** და სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე **კ. ა. ანდრიანოვი.** (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

დიდმწარმოებლური შრომისათვის

დიდმწარმოებლური შრომის უზრუნველმყოფი ორგანიზაციულ-ტექნიკური და ეკონომიური პირობების შექმნაში თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ტელეგრაფის აპარატურის ქარხნის მუშაობის გამოცდილების შესახებ

ეროსმინა და განხილა რა თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ტელეგრაფის აპარატურის ქარხნის დირექტორის **ბ. დ. თოთლაძის** ანგარიში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ქარხნის დირექციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“, ფართო მუშაობა გაანალიზა ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური და ეკონომიური პირობების შექმნისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელი კოლექტივის დიდმწარმოებლურ შრომას.

თბილისის ტელეგრაფის აპარატურის ქარხნის ხელმძღვანელებმა შეისწავლეს ქვეყნის მოწინავე საწარმოების შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გამოცდილება, კერძოდ, პროდუქციის უფეიერო დამზადებისა და პირველი წარდგენით ჩაბარების სარატოვული სისტემა და შემდგომ განვითარეს იგი. სარატოვული სისტემისაგან განსხვავებით, რომელიც მოიცავს მხოლოდ საწარმოს მუშაობის იმ ნაწილს, რომლებიც ძირითადად პროდუქციის დამზადების საბოლოო ოპერაციებს ასრულებენ, თბილისელთა სისტემა ქმნის საწარმოს ყველა რგოლისა და ყველა მუშაობის მოწამობის ორგანიზაციის, წარმართვისა და ოპერატიული კონტროლის შესაძლებლობას მუშის, ოსტატის, უბნის უფროსის, საამქროს უფროსის, ყველა სახასხურისა და განყოფილების ხელმძღვანელთა საქმიანობის შეფასებისადმი იმ კონკრეტულ მოთხოვნათა მეოხებით, რომლებიც შეიმუშავეს. სისტემაში შრომითა საქმიანობის შეფასების კოეფიციენტები აღნიშნულია დიფერენცირებულად, სხვადასხვა კატეგორიის მუშაკთა საწარმოო ოპერაციების თავისებურებიდან შესაბამისად. ეს კოეფიციენტები შემცირდეს საგეგმო და ტექნოლოგიური რეჟიმის ამა თუ იმ დარღვევებთან, წარმოების კულტურის დონისაგან გადახრებთან დაკავშირებით. ტექნიკური კონტროლის განყოფილებიდან პროდუქციის დაბრუნების გარდა, დარღვევებად ითვლება: მასობრივი წუნის შემთხვევები, დღის დავალების შეუსრულებლობა, სამუშაო ადგილის არადამაკმაყოფილებელი დგომარეობა, უსაფრთხოების ტექნიკის წესების, შიდასაქარხნო განაწესის, ტექნოლოგიური რეჟიმების შეუსრულებლობა და ა. შ. შრომის ხარისხის კოეფიციენტების ასეთივე სისტემა შემუშავებულია ყველა კატეგორიის თანამშრომლებისათვის, ყველა უბანში, საამქროსა და სახასხურში. საამქროებს, განყოფილებებს, სამსახურებს აქვთ მუშაობის ყოველდღიურ მაჩვენებელთა აღრიცხვის გრაფიკები, სადაც შეაქვთ საგეგმო დისციპლინისა და ტექნოლოგიური რეჟიმისაგან სხვადასხვა გადახრა, შესაბამისი კოეფიციენტები, მუშაობის ხარისხის საბოლოო ყოველდღიური, ყოველკვირისა და ა. შ. შეფასება გადახრათა კოეფიციენტის გათვალისწინებით.

მაღალორგანიზებული შრომის სისტემა თვითეულ მუშაკს უნერგავს შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას, დიდ პირად პასუხისმგებლობას შესრულებული მუშაობის ხარისხისათვის, უზრუნველყოფს პროდუქციის დამზადებას ზუსტად ნახაზის მოთხოვნების, ტექნიკური პირობებისა და ტექნოლოგიური რეჟიმების მიხედვით, ხელს უწყობს წარმოების ყველა სტადიაზე შემკვეთისათვის დეტალების, კვანძებისა და ნაკეთობების ჩაბარებას ტექნიკურ კონტროლის განყოფილებაში პირველი წარდგენისთანავე, გამოშვებულ პროდუქციაზე მომხმარებელთა პრეტენზიებისა და რეკლამაციების სრულ ლიკვიდაციას, ამაღლებს წარმოების, კულტურას, განამტკიცებს შრომისა და საწარმოო დისციპლინას, ხელს უწყობს მუშაკთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლებას.

მაღალორგანიზებული შრომის სისტემის საწარმოო-ტექნიკური ბაზაა უახლესი ტექნიკა და წარმოების პროგრესული ტექნოლოგია. ამ სისტემამ შესაძლებელი გახადა ქარხნის წარმოების მართვაში გამოიყენებინათ მათემატიკური მეთოდები და ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკა. 1972 წლიდან საწარმოში დაიწყო წარმოების მართვის ავტომატური სისტემის დანერგვის სამუშაოები, რომელთა დამთავრებას ველაუდობენ 1975 წელს.

მაღალორგანიზებული შრომის სისტემა მკვეთრად ზრდის სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობას. მაჩვენებლები, რომლებსაც ეს სისტემა ითვალისწინებს, ძირითადი პუნქტებია, რომელთა მიხედვით იღებენ შეჯიბრების მონაწილეთა სოციალისტურ ვალდებულებებს, ხოლო მათი შესრულებისადმი ყოველდღიური კონტროლი, რომელიც აღნიშნული სისტემით მამდინარეობს, უზრუნველყოფს შეჯიბრების შედეგების კონკრეტულობას, თვალსაჩინოობას, საჯაროობას და ფორმალობის აღმოფხვრას მათი შეჯამებისას.

მაღალორგანიზებული შრომის სისტემის, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საუკეთესო ფორმების დანერგვამ საშუალება მისცა ქარხნის კოლექტივს წარმატებით გადაეკვეთა რთული და პასუხსაგები ამოცანები. ამ ბოლო ექვს წელიწადში რეალიზებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 4,2-ჯერ მთლიანი პროდუქციისა — 4,5-ჯერ და მეტად, შრომის ნაყოფიერება — 1,6-ჯერ, მოგება — 14-ჯერ. მკვეთრად გაიზარდა რენტაბელობის ნორმა, მნიშვნელოვნად ამაღლდა საწარმოს ტექნიკური დონე. მარტო 1972 წელს პროგრამული მართვის ახალი კონვეიერის საექსპლოატაციოდ გადაცემის, ავტომატური და ნახევრადავტომატური თანამედროვე დიდმწარმოებლური დგანების, აპარატებისა და სხვა მოწყობილობის დადგმის შედეგად ქარხანამ მიიღო წლიური პირობითი ეკონომიური ეფექტი 368 ათასი მანეთის ოდენობით, სხვა სამუშაოებზე გამოსაყენებლად განთავისუფლდა 192 კაცი.

ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის პირველი ნახევრის დაკალება ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით. **გდაჭარბებით შესრულდა რეალიზებული და მთლიანი პროდუქციის მოცულობის, მოგების, შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმები.**

ყოველდღიურმა ზრუნვამ ნაკეთობათა ხარისხის ამაღლებისათვის ნაყოფი გამოიღო: **1969 წლიდან ქარხანას არ მიუღია არც ერთი რეკლამაცია. პირველი წარდგენისთანავე ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში პროდუქციის ჩაბარების მაჩვენებელი დაახლოებით 99 პროცენტია.** ქარხანაში სისტემატურად იზრდება წარმოების მოწინავეთა, ხარისხის წარჩინებულთა რიცხვი. მუშაკთა დიდმა რაზმმა — 157 კაცმა უკვე მოიპოვა თვითკონტროლის საპატიო უფლება, პირადი დამღის უფლება.

1968 წლის შემდეგ ქარხანამ მიიღო 15 მილიონ მანეთზე მეტი მოგება, აქედან დაახლოებით ერთი მილიონი მანეთი ზეგეგმითია. დიდძალი თანხებია გადარიცხული სტიმულირების — მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურული დონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის, წარმოების განვითარების ფონდებში.

განუხრელად მაღლდება ქარხნის მუშაკთა მატერიალური კეთილდღეობის დონე.

უმჯობესდება შრომის პირობები, მუშაკთა კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურება. **ქარხანას აქვს სამედიცინო პუნქტი, სპორტული მოედნები, კარგად მოწყობილი მუშაკთა სასადილო, მეორე ცვლის ყველა მუშაკი და ხარისხის წარჩინებულნი — 1973 წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი უზრუნველყოფილი არიან უფასო კვებით, ყველა, ვინც სასადილოში სადილობს — უფასო პურით.** 1974 წელს „ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის საუკეთესო მუშაკის წოდებისათვის“ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულები უზრუნველყოფილი იქნებიან ქალაქის საერთო სარგებლობის ტრანსპორტზე უფასო-მგზავრობით.

უახლოეს ხანს ქარხანას გათვალისწინებული აქვს 700-ადგილიანი კლუბის, ნიკორძოლაში 400-ადგილიანი ტურისტული ბაზის აშენება. დაგეგმილია ორი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

1973 წლის ივლისში საწარმომ დიდმის საბჭოთა მეურნეობის დაუფო ხელმეურნეობა სამეფო ურთიერთდახმარების შესახებ, რომლის შესაბამისად ქარხანა საბჭოთა მეურნეობას უწევს საჭირო ტექნიკურ დახმარებას. იარეთვე მისი მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები ეხმარებიან შრომატევადი სეზონური მინდვრის სამუშაოების დაჩქარებაში. „ყოველკვირეულ შაბათობებში გრაფიკით რიგრიგობით მონაწილეობას მიიღებენ ქარხნის მუშაკთა ჯგუფები. შესრულებული მუშობის ანაზღაურებას გაიანგარიშებენ ნატურალური გამოხატულებით და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს მიიღებს მუშაკთა სასადილო ქარხნის მუშაკთა უფასო ყვეფისათვის. ქარხნის ტერიტორიაზე მუშობის საბჭოთა მეურნეობის მალაზია, რომელშიც საწარმოს მუშაკები მყარი ფასებით ყიდულობენ პროდუქტებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ტელეგრაფის აპარატურის ქარხნის გამოცდილება მუშაკთა დიდმწარმოებლური შრომის ორგანიზაციულ-ტექნიკური და ეკონომიური პირობების შექმნის დარგში, რომელსაც საფუძვლად უდევს საწარმოს მუშაობა მაღალორგანიზებული შრომის სისტემით.

ბიურომ დაავალა პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ფართოდ დაუპრონონ მხარი და გაავრცელონ ამ საწარმოს გამოცდილება. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს წინადადება მიეცათ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად საწარმოს მუშაობის გამოცდილება მაღალორგანიზებული შრომის სისტემით გაცნონ ყველა შრომის კოლექტივს.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალა საწარმოს მახლობლად გამოყოს ნაკვეთები ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა გადაიღოს დოკუმენტური ფილმი ქარხნის კოლექტივის მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს დაევალა დეტალურად შეისწავლოს ქარხნის გამოცდილება, სისტემატური დახმარება გაუწიოს მას მაღალორგანიზებული შრომის სისტემის სრულყოფაში, ქარხნის მუშაკებთან ერთად მომზადოს პოპულარული ბროშურა ამ გამოცდილების შესახებ.

(საინფორმო).

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲔᲜᲐᲐ

პრესაში გამოქვეყნდა შემაჯამებელი ნაყარი ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა — „რუსული ენა სსრ კავშირის ხალხთა ურთიერთობის ენა“. „რუსული ენა — ნაციონალური დადგენილებაში, — ძმათმოყვარეულ ხალხთა ურთიერთობისა და ერთიანობის ენა, — ეკავია და მეტ მნიშვნელობას იძენს თვითეული საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში“. რუსული ენა გახდა საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების საურთიერთო ენა“.

ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ

ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜᲕᲔ მსმენია, კაცმა რაც მეტი ენა იცის, იმდენად მდიდარი და გამარჯვებულიაო“.

უეჭველად, ჩვენ ყველანი ჩვენი მშობლიური მეტყველების პატრიოტები უნდა გახლდეთ, მაგრამ მშობლიური საქმის სიყვარული არანაირად არ ნიშნავს ვიწრო ფარგლებში კარჩაკეტილობას. ამ მხრივ ჩემთვის როგორც მეცნიერისა და პედაგოგისათვის განსაკუთრებულად სასიამოვნოა, რომ დღეს ასე ფართოდ, მაღალ საზოგადოებრივ საქმიან დონეზე. სახელმწიფოებრივ დონეზე ვეხებით საკითხს სხვა ენის შესწავლის და პირველ რიგში რუსული ენის კარგად დაუფლების შესახებ.

ვიქნები გულახდილი — ჩვენთვის განსაკუთრებულად საჭიროა რუსული ენის კარგად დაუფლება, რათა გავეცნოთ დიდი ერის მიერ შექმნილ კულტურას, ხოლო მისი მეშვეობით მსოფლიოს კულტურასაც. მე თვითონ სოფლელი ახალგაზრდა ვიყავი და რუსული ენის დაუფლება, ცხადია, ადვილი საქმე არ გახლდათ, მაგრამ შრომამ, სინდისიერმა გარჯამ და სურვილმა ყველა სიძნელე დაძლია და დღეს ბედნიერი ვარ რომ ვფლობ ამ ენას.

მოვუწოდებ ჩვენს ახალგაზრდობას — სრულყოფილად დაეუფლოს რუსულ ენას, ხოლო პედაგოგ-მასწავლებლებს მოვუწოდებ რაც შეიძლება მაღალ დონეზე აიყვანონ რუსული ენის გაკვეთილი.

აკადემიკოსი **ᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲖᲣᲠᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

მთელი ჩვენი ხალხი და პირველ რიგში განათლების დარგის მუშაკები და მოსწავლე ახალგაზრდობა გულითადი მოწონებით შეხვდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას რესპუბლიკის სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ, რომელიც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით თვეების განმავლობაში გულდასმით მუშადებოდა და მზადდებოდა.

რუსული ენის სრულყოფილად ცოდნა არის მძლავრი საწინდარი ჩვენი კეთილდღეობისა ცხოვრების ყოველ სფეროში, პოლიტიკურ, მეცნიერულ, კულტურულ სარბიელზე და დასახელებული დადგენილების არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა კარგად დაეუფლოს რუსულ ენას, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა კავშირში შემავალ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შორის მჭიდრო ურთიერთობისა და თანამშრომლობის მტკიცე დასაყრდენს, იარაღს, ჩვენი ახალგაზრდობის კულტურული და მეცნიერული სრულყოფის უხვ წყაროს.

ამ დადგენილების შესასრულებლად განათლების სამინისტროს შემუშავებული აქვს რესპუბლიკაში რუსული ენის სწავლების მდგომარეობის გკვლევად გაუმჯობესების გაშლილი პროგრამა.

სასწავლო წლის დაწყების წინ მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის ახალ მოთხოვნათა დონეზე შესწავლის საკითხებზე დიდი საქმიანი საუბარი გაიმართება.

პროფესორი **ᲨᲗ. ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ,**
საქართველოს სსრ განათლების მინისტრის
პირველი მოადგილე.

ᲛᲨᲝᲒᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „რუსული ენა სსრ კავშირის ხალხთა ურთიერთობის ენაა“ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია.

რუსული ენის ცოდნა ჩვენი მოწინავე, გამოჩენილი ადამიანების მიერ აღიარებული იყო, როგორც უეჭველი ფაქტორი განათლების მისაღებად, სხვა რომ არაფერი, ჩვენი ინტელიგენცია ხომ რუსეთში იღებდა უმაღლეს განათლებას და რომელ ენაზე ისწავლიდა, თუ არა რუსულზე? მაგრამ ამავე დროს მშობლიური ენის დავიწყებისა და გადაგვარების წინააღმდეგ სასტიკად იბრძოდნენ მამულიშვილები.

ქართველებს მუდამ უყვარდათ რუსული ენა და ბევრი კარგადაც ფლობდა მას. მაგრამ ახლა ეს არ კმარა! აუცილებელია უკლებლივ ყველამ იცოდეს ის წვენიერად და ღრმად, რომ კითხულობდეს, წერდეს და ლაპარაკობდეს უმეცდრმოდ. რაგორ და სად უნდა აითვისოს მან რუსული ენა ასე ზემოწოდებენით? რა თქმა უნდა, სკოლაში, განათლებული მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ასეთი პირობები რუსული ენის ცოდნას მისცემს ყველა თაობას. და ბავშვობიდანვე ოჯახში შეჩვეული მოწაფეს სკოლაში მისვლისას რუსული ლაპარაკი უცხოდ არ მოეჩვენება.

დოცენტი ᲜᲘᲜᲝ ᲯᲘᲯᲘᲒᲣᲠᲘ,
საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი,
ლენინის ორდენოსანი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲨᲔᲛᲩᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ჯიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და კანადის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი უ. კაშანი,

საუბარში, რომელმაც ვიულითად, მეგობრული ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური საარჯვნო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ა. კუსკოვი.

საქართველოს სტუმარი

თბილისში ჩამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური ბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი პაოლო ბუფალინი, რომელიც საბჭოთა კავშირში დასასვენებლად ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

17 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. სირაძე. შეხვდა და ესაუბრა პ. ბუფალინის. საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, სტუმარს გააცნეს რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრება.

პაოლო ბუფალინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანების წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში აღაფრთოვანებენ იტალიის მშრომელებს მოქალაქეობრივი და საარსებო უფლებებისათვის ბრძოლაში. მან ილაპარაკა იტალიის კომპარტიის საქმიანობაზე, მის მზარდ ავტორიტეტზე.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის აქტიურ და თანმიმდევრულ ღონისძიებებს საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღების პროცესის გაღრმავებისა და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის განვითარებისათვის, პ. ბუფალინმა ხაზგასმით აღნიშნა სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებული ვრცელი და მრავალმხრივი საშვიდობო პროგრამის ისტორიული მნიშვნელობა.

საუბრის დროს გამოითქვა კმაყოფილება საქართველოსა და იტალიის ტრადიციული კულტურული და მეცნიერული ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარების გამო.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. ი. კიკვაძე. (საინფორმო).

საზეიმო სხდომა

17 აგვისტოს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გაიმართა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა და თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო კრება. იგი მიეძღვნა ავიაციის დღესასწაულს, რომელიც საბჭოური ავიაციის გაწვრთნარებში მიღწეული წარმატებების საყოველთაო-სახალხო დათვალიერებად გადაიქცა.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატებმა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. ჯანელიძემ.

მოხსენება სსრ კავშირის საპატერო ფლოტის დღის შესახებ გააკეთა მიერკიკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ავიაციის სარდალმა ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა გ. დოლნიკოვმა.

დასასრულ გაიმართა საზეიმო კონცერტი. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 15 აგვისტოს გრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

ამბ. რაფიელ გიორგის-ძე შანიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით.

ამბ. არონ მარკის-ძე რაბინოვიჩი — გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქციის განყოფილების გამგე — პრესის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით.

შეჯიბრებაში გამარჯვებული

საქართველოს წიგნის ვაჭრობის რესპუბლიკური გაერთიანება „საქწიგნის“ ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 5 წიგნის მაღაზიათა ზომალური გაერთიანების კოლექტივმა მეორე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მან: მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

გადაჭარბებით არის შესრულებული საქონელბრუნვის, მათ შორის წიგნის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. ერთიორად და მეტად არის გადაჭარბებული მოგების გეგმა. გაერთიანების მაღაზიათა მუშაკები აქტიურად მონაწილეობენ წიგნის ერთთვიურებში, დეკადებსა და დღესასწაულებში. აწყობენ წიგნის გამსვლელ გაყიდვას საგარეუბნო კურორტებზე, ფართოდ ნერგავენ მყიდველთა მიერ წიგნის ფონდის თავისუფალი გაცნობის ფორმას.

ᲙᲘ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲗᲐᲛᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ

თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ტელეგრაფის აპარატის ქარხნის დირექტორი ბ. თოთლაძე (ცენტრში) ესაუბრება (მარცხნიდან) ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს ვ. ბერელიძეს, ზეინკალს ჯ. აბაევს, ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს ვ. რევენკოს, ზეინკლებს ა. ჩახაიას და კ. ალპაიშვილს. ს. კიღაძის ფოტო.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲤᲝᲠᲛᲐ ᲡᲮᲕᲐ, ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ — ᲡᲮᲕᲐ

„ფორმა სხვა, შინაარსი — სხვა“ — ამ სათაურით „კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ტყიბულმშენის სამშენებლო სამმართველოში სოციალისტური შეჯიბრებისადმი ფორმალური დამოკიდებულების ფაქტები.

რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ტერიტორიულმა კომიტეტმა პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილა სოციალისტური შეჯიბრებისადმი ტყიბულმშენის პროფკავშირული კომიტეტის ხელმძღვანელობის საკითხი, სწორად ცნო გაზეთის კრიტიკა და მიუთითა როგორც პროფკავშირულ, ისე სამეურნეო ხელმძღვანელობა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

პრეზიდიუმმა დასახა ღონისძიებანი ტყიბულმშენის სამშენებლო სამმართველოს მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

შეჯიბრების მოწყობაში ნაკლოვანებებისათვის პრეზიდიუმმა მიუთითა პროფკავშირულ კომიტეტს და მის თავმჯდომარეს შ. ფილფანს.

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲖᲔᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲘᲗᲘᲗ ᲛᲐᲡ?

ᲡᲙᲝᲚᲐ — „ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ“

მარტო დადგენილებებით სკოლა არ შენდება

ᲣᲔᲚᲐᲜᲘᲜᲐᲕ კურორტ ლებარდესკენ მიმავალი ადამიანი, მით უმეტეს, თუ პირველად მიემგზავრება იგი, არ შეიძლება ამ ადგილას არ ჩამოხდეს და ლამაზი სანაპირი ხარბად არ შეათვალიეროს. ბუნების უხილავ ძალას თითქოს ვეება ხმალივით მოუქნევია მდინარე ტეხური და ეს მაღალმთიანი მიდამო. შუაზე გაუპია. მარცხნივ ისეთი მაღალი მთაა, რომ კაცი ძლივს მიაწვდენს თვალს მის მწვანე, ეტყობა — ბალახით მდიდარ ქიმს. მარჯვნივ მდინარე ტეხური ბობოქრობს ხევში...

აქ ერთი პატარა მინდორია. მასზე გაუშენებიათ ქვიტკირის მომცრო, ლამაზი შენობა. ეს არის გეგეჭკორის რაიონის სოფელ ცურუზუს სანაყეფიოს უბნის დაწყებითი სკოლა. ვათვალიერებთ სამნი — რაისაბჭოს აღმასკომის საწარმო საგზაო უბნის უფროსი ნ. გაბისონია, საკოლმეურნეო-მთათაშორისო მშენებლობის საბჭოს თავმჯდომარე ილ. წულაია და ამ სტრიქონების ავტორი. თავიანთ საქმეზე მიმავალი „ვილისში“ დავემგზავრეთ.

— დიდი წვალებით გავაშენეთ, — თქვა ილ. წულაიამ. — ძნელად მისასვლელი ადგილია. ბავშვები. ამ სკოლაში ორი კილომეტრის მანძილიდანაც იარეან. სოლა ცხენისწყლიდან მოგვქონდა. მაგრამ კარგი საქმე გავაკეთეთ. წელს აქ პირველად დაირეკება სექტემბრის ზარი.

მართლაც რომ კარგი საქმეა გაკეთებული. ეზაური პატარა ბიჭუნები და გოგონები თავიანთ სახლებთან ახლოს ისწავლიან. თითო-ორი კილომეტრის გავლას სოფლის ბავშვები, მით უმეტეს — მთისა, არაფრად მიიჩნევენ.

სოფელ ინჩხურში დიდი ყურადღებით ეკიდებიან სასკოლო ცხოვრების საკითხს. ინჩხურის კოლმეურნეობის გამგეობამ კანტორის ორსართულიანი დიდი კაპიტალური შენობა საშუალო სკოლას გადასცა, თვითონ კი მომცრო შენობით დაკმაყოფილდა. როცა ადგილზე ჩავედით, სკოლის დირექტორი გ. გელენიძე დაგვხვდა. მარშან სკოლის კაპიტალურ რემონტზე 7.000 მანეთი დახარჯეს, წელს კი უმნიშვნელო იყო შესაკეთებელი და ეს სამუშაოებიც დროზე შეასრულეს. მომმართგებული აქვთ შეშა. როგორც იტყვიან ხოლმე, „გაზურებულია“ სამუშაოები სოფელ სალხინოს საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ბასილაია). რემონტისათვის აქ დაიხარჯება 5.000 მანეთი. დათვალიერების დღეს 8 ხელოსანი მთელი ძალით შრომობდა. ერთ მთვანეს გამოვესაუბრეთ. საინტერესო ახალგაზრდა კაცი გამოდგა ელკარდი დიხამინჯია. მას ეს სამუშაო სკოლა დაუმთავრებია, ხელმარჯვე კაცს მშენებლის პროფესია აუთვისებია და ახლა მშობლიურ სკოლაში კედლის შელესვაზე მუშაობდა. მის გვერდით შრომობდნენ ს. სხულუხია, გ. ნაჭყებია, მ. ნინავა, ნ. ნაჭყებია. 15 აგვისტოსათვის სკოლა მზად იქნება. სარემონტო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება სოფელ ტალერის საშუალო სკოლაში (დირექტორი ქ. ნაჭყება). სამნენი ნაწილის გამგემ კ. ჯიჯელავამ გვითხრა, რომ მასალები აქვთ, ორ-სამ დღეში მოამთავრებენ თუნუქის სახურავის შეღებვას.

შეკეთების სამუშაოებს სათანადო ყურადღებას უთმობენ გეგეჭკორის სკოლა-ინტერნატის, ვაშვანთა სახლის, სოფელ ბანძის, ლეციცხვაიეს, სერგიეთის სკოლების დირექციები. დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ჯოლეფის რეკონსტრუქციისა ზეგერი ინტერნატის, ბალეთ ეს აშკარა წუნი მობათქაშებით დაფარონ“.

წელიწადზელ აგვისტოში, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, კვლავ დავათვალიერეთ ამ სკოლის მშენებლობა. ბევრი არაფერია შეცვლილი. მშენებლებს ზემო სართულის უვარგისი აგურის წყობის ნაწილი მოუხსნიათ და ახალი ამოუყვანიათ, მაგრამ „კუზიანს რა გაასწორებსო“ — რა გაასწორებს ქვედა სართულის ოერიბოკროდ ნაგებ კედლებს? არ შეიძლება ადამიანს გული არ გატკინოს ასეთმა დაუდევრობამ, რაც მშენებლებმა შარშან გამოიჩინეს პირველი ნამიკოლაოს სკოლის მშენებლობის საქმეში. ამჟამად მთის გაფუჭებულ საქმეს საკოლმეურნეო-თათაშორისო მშენებლობის საბჭოს ახალი ხელმძღვანელობა სახსრების გადახარჯვით ასწორებს. მაგრამ აღებული ტემპი სრულიადაც არ არის საკმარისი. ჩვენი ადგილზე ყ

ფილიალი დღეს

მშვიდობისათვის

მსოფლიოს გამოსვლაურებანი ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაზე

მთელ მსოფლიოში ფართო გამოხმაურება გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ, რომელიც წარმოთქვა ალმა-ათაში ყაზახეთის სს რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემის დროს. სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების საინფორმაციო სააგენტოებმა, გაზეთებმა, რადიომ და ტელევიზიამ დაწვრილებით გააშუქეს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა. დღევანდელი გაზეთები სიტყვას ბეჭდავენ ყველაზე თვალსაჩინო ადგილებზე დიდი სათაურებით.

„ნოეს დოიჩლანდმა“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) გამოაქვეყნა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის სრული ტექსტი სათაურით „მშვიდობის პროგრამა თანამემდეგრეულად ხორციელდება“. „სსრ კავშირი აქტიურად ებრძვის დაძაბულობის შენელებისათვის“. — ხაზს უსვამს გაზეთი „ბერლინერ ცეიტუნგი“. „ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ნათქვამია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტელევიზიის კომენტარში, — ამიდი გამოთქვა, რომ ახლანდელი დაძაბულობის შენელება დროებითი მოვლენა კი არ არის, არამედ საერთაშორისო ურთიერთობის ფუნდამენტურ გარდაქმნას მოასწავებს, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მან დაუთმო იმას, თუ როგორ უნდა გაძლიერდეს დაძაბულობის შენელების პროცესი, როგორ უნდა გახდეს იგი შეუქცევადი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა წამოაყენა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი აქტიური ამოცანები იაბოლოსი მომავლისათვის“.

ბულგარეთის გაზეთებმა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დაბეჭდეს პირველ გვერდებზე სათაურებით, რომლებიც ხაზს უსვამენ მშვიდობის ლენინური პოლიტიკის წარმატებებს.

„მშვიდობასა და მეგობრობის იდეები მტკიცდება სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის მეოხებით“, — აღნიშნავს ანგარიშში ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესახებ ბოლონური „ტრიბუნა ლუდუ“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, წერს გაზეთი, განაცხადა, რომ ჩვენი კლასობრივი საერთაშორისო პოლიტიკის ეფექტიანობის მთავარი წინამძღვარი, რა თქმა უნდა, კვლავ არის მჭლითანდა ჩვენი სოციალისტური თანამეგობრობა და თვითეული სოციალისტური ქვეყნების წარმატებით განვითარება. „ზიჩე ვარშავი“ წერს, რომ ბრძოლა საერთაშორისო ატმოსფეროს რადიკალური გაჯანსაღებისათვის მოითხოვს თანამემდეგრეულ და მრავალმხრივ მეცადინეობას.

„რუდე პრავო“ და ჩეხოსლოვაკიის სხვა ცენტრალური გაზეთები ეხებიან ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის იმ ნაწილს, რომელშიც ლაპარაკია სოციალისტური ქვეყნების შეკავშირების დიდ მნიშვნელობაზე. ამავე აზრს აყენებს პირველ პლანზე უნგრეული „ნეფსაბადშაგი“. იგი წერს: „დაძაბულობის შენელების მიღწევაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სოციალისტური ქვეყნების შეკავშირებამ“.

ლ. ი. ბრეჟნევმა, წერს პირველ გვერდზე იუგოსლავური „ბორბა“, გამოთქვა იმედი, რომ მსოფლიოში ახლა მამდინარე დაძაბულობის შენელების პროცესი დასაბამს მისცემს საერთაშორისო ურთიერთობის ფუნდამენტურ გარდაქმნას. ახალი ურთიერთობის ძირითად თავისებურებად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა. ლ. ი. ბრეჟნევი ოპტიმიზმით ლაპარაკობდა დაძაბულობის შენელების პროცესზე, დასძენს გაზეთი.

„ვაშინგტონ პოსტი“ აანალიზებს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას და გამოაქვს დასკვნა, რომ იგი გამსჭვალულია ოპტიმიზმით.

ასეთსავე აზრს გამოთქვამს დასავლეთგერმანული „კელნერ შტადტ-ანზეიგერი“. ლ. ი. ბრეჟნევმა, წერს ეს გაზეთი, ოპტიმისტურად შეიფასა საერთაშორისო ვითარების შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ამასთანავე მან აღნიშნა გარკვეული ძაღვები, მათ შორის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც, რომლებიც ჯერაც „ცივი ომის“ კატეგორიებით აზროვნებენ“.

იაპონიის პრესა ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობს სიტყვის იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია აზიის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანების შესახებ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა, წერს „ასაჰი“, მოწმობს, რომ სსრ კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც არ დაეშუროს ძალ-ღონე საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიზნით. იგი ავრეთვე მოწმობს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირი კოლექტიურ უშიშროებას აზიის ყველა ქვეყნისათვის, „აზიის პოლიტიკის საკითხებზე დიდმნიშვნელოვან განცხადებას“ უწოდებს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას გაზეთი „მაინიჩი“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, წერს გაზეთი, აღნიშნა, რომ სსრ კავშირი ესწრაფვის განავითაროს ნორმალური და კეთილმეზობლური ურთიერთობა აზიის ყველა ქვეყანასთან და ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე მრავალმხრივი თანამშრომლობის მოგვარებას აზიის ისეთ დიდ ქვეყანასთან, როგორიც იაპონია.

ი. განდის გამოსვლა

15 აგვისტო. (საკლესი). დღეს ინდოეთის დედაქალაქში ისტორიული წითელი ფორტის გალავანთან გაიმართა ხაზეიმო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ინდოეთის დამოუკიდებლობის 26 წლისთავს. შეკრებილთ სიტყვით მიმართა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ი. განდიმ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, განაგრძოს დასახული პროგრამების შესრულება ყოველგვარ ვითარებაში. ჩვენმა მეცადინეობამ ნაყოფი რომ გამოიღოს, თქვა პრემიერ-მინისტრმა, არ უნდა შეეწყვიტოთ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება. ამასთან დაკავშირებით ი. განდიმ დადებითად შეიფასა ღონისძიებანი მარცვლეულის საბითუმო ვაჭრობისადმი სახელმწიფო კონტროლის დასაწესებლად. მან აღნიშნა, რომ სტიქიური უბედურებისა და სხვა მიზეზების გამო ინდოეთს ახლა რთული პერიოდი დაუდგა, და დასძინა, რომ ანტისოციალური ელემენტები ცდილობენ ინგარების მიზნით გამოიყენონ ეს სიტუაცია. მაგრამ მთავრობა ამ ელემენტების წინააღმდეგ ახორციელებდა და კვლავაც განახორციელებს უმკაცრეს ღონისძიებებს.

პრემიერ-მინისტრმა მიმართა ერს და ილაპარაკა ინდოეთის წინაშე მდგომ ამოცანებზე, და ხაზგასმით აღნიშნა: „გვინდა, რომ ინდოეთის ხალხებს ამ გაჭირვების ჟამს გული არ აუცრუვდეთ, ეიტკაცობა გამოიჩინონ, გვინდა, რომ მათი ხმა მშვიდობის, მეგობრობის დასაცავად ყველამ ისმინოს“.

შეიხო რა სამხრეთ აზიაში შექმნილ ვითარებას, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ინდოეთმა და ბანგლადეშმა უკანასკნელ ხანს წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებანი 1971 წლის კონფლიქტის შედეგების აღმოსაფხვრელად და რომ ამ წინადადებებს დადებითად გამოეხმაურნენ მსოფლიოში. ამ პრობლემათა გადაჭრის მიზნით უკვე წარმოებდა და გაგრძელდება მოლაპარაკება ინდოეთსა და პაკისტანს შორის, თქვა ი. განდიმ.

რ. ნიქსონის განცხადება

16 აგვისტო. (საკლესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა, რომელიც რადიოთი და ტელევიზიით გამოვდა, გააკეთა განცხადება ეგრეთწოდებული „უოტერჰეიტის საქმის“ თაობაზე.

ახლა, განაცხადა პრეზიდენტმა, მას შემდეგ, რაც სენატის კომისიამ, რომელიც ამ საქმეს იძიებს, დაკითხა მეტი წილი მთავარი მოწმეები, დროა ვუპასუხოთ წამოყენებულ ბრალდებებზე და ამერიკელ ხალხს მივცეთ ამ ამბის პირსაქმეტიული შეფასება.

ოთხ თვეზე მეტი ხნის მანძილზე, თქვა რ. ნიქსონმა, ეს საკითხი პრესისა და ტელევიზიის მთავარი თემა იყო. სენატის კომისიამ მოსმენა დაიწყო იმ მიზნით, რომ გამოერკვია დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში შეჭრისა და იქ მისაყურადებელი აპარატურის დადგმის, აგრეთვე საარჩევნო კამპანიის დროს სხვა ბოროტმოქმედების ფაქტები. რამდენიმე ხნის შემდეგ, აღნიშნა პრეზიდენტმა, ცხადი გახდა, რომ მოსმენის, აგრეთვე პრესაში მათი ზოგიერთი კომენტარის ერთადერთი მიზანი იყო როგორმე დაემტკიცებინათ, რომ პრეზიდენტი პირადად იყო ჩარეული ამ უკანონო მოქმედებაში.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შარშანდელი საარჩევნო კამპანიის დროს იყო თანამდებობის პირორად გამოყენების ფაქტები, ამასთან დაკავშირებით გამოთქვა თავისი სინანული და განაცხადა, მე, როგორც მთავრობის მეთაური ვკისრულობ მთელ პასუხისმგებლობასო. მაგრამ ამასთან რ. ნიქსონმა ხაზგასმით აღნიშნა „ჩემს კონსტიტუციურ მოვალეობად მიმაჩნია მთავრობა დავიცვა ცრუ ბრალდებებისგანო“.

რ. ნიქსონმა თქვა: „კვლავ სავსებით გარკვეულად ვაცხადებ, რომ წინასწარ არაფერი ვიცოდი უოტერჰეიტის ოპერაციის შესახებ, არ ჩავრეულვარ ამ საქმის მიჩქმალვის მომდევნო ცდებში და არაფერი არ გამიგია ამ ცდების შესახებ“, — დასძინა მან.

სენატის კომისიაში მოსმენის დროს, თქვა შემდეგ რ. ნიქსონმა, არც ერთი სიტყვა არ თქმულა იმის შესახებ, თითქოს ჩემთვის ცნობილი ყოფილიყოს უოტერჰეიტზე თავდასხმის განზრახვა.

რ. ნიქსონი შეეხო ღონისძიებებს, რომლებიც გასული წლიდან განახორციელა ამ საქმის გარემოებათა გამოსაძიებლად და განსაცხადა, თავიდანვე „ეიზენჰაუერი გამომეკვეთა ფაქტები და გამეცნო ისინი შესაბამისი სასამართლო-სამართლებრივი ორგანოებისათვის, რათა განეხორციელებინათ მართლმსაჯულება და დაესჯათ დამნაშავენი“.

პრეზიდენტმა განაცხადა, რამდენიმე კვირის მოსმენების შემდეგ უკვე დადგა მომენტი, როცა „უოტერჰეიტისადმი“ შემდგომი ზეიმეტი ინტერესი ქვეყნის ყურადღებას აშორებს ყველა ამერიკელისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვან საქმეებს. ადარ შეიძლება მთლიანად ჩაეფიფლოთ „უოტერჰეიტის საქმეში“, თქვა მან, ვერ შეეურიგდებით, რომ ალეიტერულმა აზრებმა წარსულზე მოგვიხსოს მომავლის იმედი.

რ. ნიქსონმა შემდეგ აღნიშნა, რომ კონგრესში განხილულს მოელიან დიდმნიშვნელოვანი კანონშეროვანები, რომლებიც ამერიკელი ხალხის ინტერესებს ეხება. „გაურკვევლობა, — აღნიშნა მან, — იწვევს უნდობლობას ჩვენი ეკონომიკისადმი, ჩვენი ვალუტისა და ჩვენი საგარეო პოლიტიკისადმი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

დროა, თქვა რ. ნიქსონმა, „უოტერჰეიტის საქმე“ გადაეცეთ სასამართლოებს, რომლებიც გადაწყვეტენ ვინ არის დამნაშავე და ვინ არა.

გრძოლა გოლომდე

17 აგვისტო. (საკლესი). აქ მოსული ცნობების თანახმად, კამბოჯის ეროვნული ერთობის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა პენ ნუტმა პრესკონფერენციაზე გამოსვლისას წაიკითხა პრინც ნოროდომ სიანუკის განცხადება, რომელიც უფლისწულმა ფხენიანიდან გაგზავრების წინ გამოგზავნა „განცხადებაში ნათქვამია, რომ კამბოჯაზე ამერიკის თვითმფრინავების თავდასხმის შეწყვეტა დიდი გამარჯვებაა, და აღნიშნულია, რომ ბრძოლა გაგრძელდება, ვიდრე კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტი „თვითონ არ უსელმძღვანელებს მთელი ქვეყნის საქმეებს.

პენ ნუტმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ პნომპენის თავდაცვის გარეთა ხაზი გარღვეულია და რომ, თავდაცვის მეორე ხაზს — ქალაქიდან დაახლოებით 10 კილომეტრზე — სასაზღვრო ძალების ნაწილები ქალაქში ამჟამად აცამტვერებენ და იტრებიან.

როგორც ფრანს პრესი იუწყება, განცხადებაში დადასტურებულია, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი „ხელი იგდონ პნომპენი და კამბოჯაში წითელ ქმერთა ძალაუფლება დამყარონ, ამასთან აბსოლუტურად არავის არ გაუწიონ არავითარი კომპრომისი“.

ფამ ვან დონგი შეხვდა ნ. სიანუკს

პეკინი. 17 აგვისტო. (საკლესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თავრობის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც საბჭოთა კავშირიდან აქ გამოიარა ჰანოიში ჩასვლამდე, შეხვდა კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტის თავმჯდომარეს ნოროდომ სიანუკს.

საკადრისი პასუხი

15 აგვისტო. (საკლესი), ჩილეს მთავრობა კანონით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებას იხმარს, რათა რაც შეიძლება მალე განაახლოს ტრანსპორტის მუშაობა, განაცხადა გუშინ სალამოს ჩილეს შინაგან საქმეთა მინისტრმა ორლანდო ლეტელიერმა. საერთო ავტომობილების მფლობელთა, რომლებიც უკანონო გაფიცვას განაგრძობენ, მიეცათ უკანასკნელი 24-საათიანი ვადა, რათა ნებაყოფლობით განაახლონ მუშაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობის მიერ დანიშნული სამხედრო რწმუნებულნი ყველა მფლობელს ჩამოართმევენ უქმად მდგომ ავტომანქანებს. ამასთანავე აქ გამოცხადდეს, რომ ტრანსპორტის მუშაობის მომგებიანებელი ადმინისტრატორი ხ. ფაბეიერი გადადგა.

ორლანდო ლეტელიერმა აგრეთვე ბაზგასმით აღნიშნა 13 აგვისტოს მომხდარი მაღალი ძაბვის ერთ-ერთი ხაზის რამდენიმე ბოძის აფეთქება, რამაც დროებით შეწყვიტა ელექტროენერგიის მიწოდება ოთხ ცენტრალურ პროვინციაში, მათ შორის დედაქალაქში, ფაშისტური ორგანიზაციის „პატრია ი ლიბერტადის“ წევრი არამზადების საქმეა.

16 აგვისტო. (საკლესი). ჩილეს მთავრობამ განახორციელა სპეციალური ღონისძიებანი ქალაქის ენერგოსისტემის დასაცავად. ეს განაცხადა მთავრობის გენერალურმა სამდივნოს წარმომადგენელმა. მინისტრთა კაბინეტის სხდომის შემდეგ, რომელზეც კაბინეტის ულტრამემარჯვენე ელემენტების დიფერსიის შედეგები. ამ ელემენტებმა აფეთქეს მაღალი ძაბვის ხაზის რამდენიმე ბოძი. დიფერსიის შედეგად ოთხ ცენტრალურ პროვინციაში, სანტიაგოს ჩათვლით, დროებით შეფერხდა ენერგომომარაგება.

პოლიციამ და სამხედრო დაცვამ მიიღეს ინსტრუქციები ენერგიულად და ულმობლად ამოქმედონ საბოტაჟისა და დიფერსიების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ. კარაბინერთა კორპუსსა და გამოძიების სამსახურს ებრძანეს გააძლიერონ ბრძოლა მოფაშისტურ ორგანიზაციის „პატრია ი ლიბერტადის“ ტერორისტული ჯგუფების წინააღმდეგ.

მთავრობამ იუსტიციის მინისტრს დაავალა მოამზადოს კანონი ტერორიზმის აქტების ჩახშობის შესახებ, რომელსაც ეროვნული კონგრესის განსახილველად შეიტანენ.

გუშინ ჩილეს პრეზიდენტმა მიიწვია ჩილეს მშრომელთა ერთიანი პროფკავშირების წარმომადგენლები მონაწილეობა მიეღოთ ტრანსპორტის მუშაობის მომგებიანებელი მინისტრთა ოპერატიული კომიტეტის სხდომაზე. ქვეყნის ოდიდესი პროფკავშირული გაერთიანების ეროვნულმა ხელმძღვანელობამ სავსებით დიუმერო მხარი მთავრობის ღონისძიებებს ავტოტრანსპორტის მუშაობის ნორმალიზაციისათვის. ჩილეს მშრომელთა ერთიანმა პროფცენტრმა განაცხადა, რომ მზად არის მშრომელები დაარაზმოს საატვირთო ავტომობილებზე მომუშავეთა დაკავისათვის და მთელ ქვეყანაში გამოიყოს სულ ცოტა ათი ათასი მუშა და მოსამსახურე ეროვნულ-ეკონომიკური სტრატეგიული ობიექტების დასაცავად.

დაგომგვა შეწყდა—ჩარევა გრძელდება

ვაშინგტონი. 16 აგვისტო. (საკლესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა წყნარი ოკეანის რაიონში ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტა საომარი მოქმედება ლაოსსა და კამბოჯაში, კერძოდ, კამბოჯის ტერიტორიის დაბომბვაც. ეს გათვალისწინებულია კანონით, რომელიც მიიღონა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ორივე პალატამ. როგორც ვიუწყებოდით, ამ კანონის ხელმოწერის დროს პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა განაცხადა, თუ საჭირო გახდა, კონგრესს დაბომბვის განახლების სანქციას მოვთხოვო.

პენტაგონის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს არა მარტო განაგრძოს დასაზვერი ფრენა კამბოჯის ტერიტორიაზე, არამედ მზვერავ თვითმფრინავებს „საჭირო“ შემთხვევაში“ გააყოლოს სამხედრო თვითმფრინავების ესკორტი. ამერიკის თვითმფრინავები აგრეთვე კვლავაც გადაზიდავენ სამხედრო დანიშნულების ტვირთს კამბოჯაში. ამ მიზნით „ს-130“ მარკის გიგანტური სატრანსპორტო თვითმფრინავები, რომელთა ბაზა ტაილანდშია, ყოველდღე კამბოჯაში 6-12 რეისს გაკეთებენ. ამერიკის პრესა აქვეყნებს კამბოჯის წინააღმდეგ სპეციერო ომის „სტატისტიკური შედეგების“. მარტო მიმდინარე წლის ექვსთვენახევარში ამერიკის ავიაციამ მის ტერიტორიაზე ჩამოყარა 240 ათასი ტონა ბომბი. საშუალოდ ყოველდღიურად კამბოჯის პატრიოტულ ძალებს თავს ესხმოდა „ბ-52“ ტიპის 48 სტრატეგიული ბომბდამშენი და 200 ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი.

ამერიკის გადასახადის გადამხდელს ეს ომი მარტო ამ ბოლო ნახევარ წელიწადში 443 მილიონი დოლარი დაუჯდა.

ნიუ-იორკი. 16 აგვისტო. (საკლესი). სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა, რომელიც გუშინ ლიტერატურაში გამოვიდა, გადაჭრით გაილაშქრა 15 აგვისტოს შემდეგ კამბოჯის საომარ ოპერაციებში ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომი მონაწილეობის წინააღმდეგ. ფულბრაიტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაბომბვის შეწყვეტის კანონის აშკარა დარღვევა იქნება, თუ ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავები, როგორც ეს პენტაგონმა გამოაცხადა, 15 აგვისტოს შემდეგ განაგრძობენ სალაშვერვო ფრენას, თანაც მზვერავ თვითმფრინავებს გააყოლებენ სამხედრო ესკორტს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი წარმატებით მიმდინარეობს ფერწერის ნაწარმოებთა გამოფენა „საბჭოთა მუზეუმების განძები“. ვან გოგის, მატისის, გოგენის, რენუარის, პიკასოს უკვდავი ტილოები ლენინგრადის ერმიტაჟიდან და ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან უკვე ექსპონირებული იყო ვაშინგტონში, ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელესში.

ახლიან ათასობით ამერიკელს შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა ფერწერის დიდი ოსტატების შესანიშნავ ნაწარმოებებს. ახლა გამოფენა ჩიკაგოში გადავიდა.

სურათზე: ოიგი ნიუ-იორკის მუზეუმ „ნიდლერ-გელერისთან“, სადაც ექსპონირებული იყო საბჭოთა გამოფენა. რ. ბაშიაშვილის ფოტო. (საკლესის ფოტოქრონიკა).

მოიტაცეს თვითმფრინავი

ბეირუთი. 17 აგვისტო. (საკლესი). ლიბანის „მიდლ ისტ ეირლაინსის“ ავიაკომპანიის „ბოინგ-707“ თვითმფრინავი, რომელიც დაფრინავდა ბენლაზი (ლიბია)-ბეირუთის (ლიბანი) მარშრუტით, გუშინ უცნობმა პირმა აიძულა დამჯდარიყო ისრაელის ლოდის აეროპორტში. დაჯდომისთანავე თვითმფრინავს ალუა შემოარტყეს ჯარებმა, თვითმფრინავის მომტაცებელი კი ისრაელის ხელისუფლებმა დააკავეს მისი პიროვნებისა და თვითმფრინავის მოტაცების მოტივების გამოსარკვევად. „ბოინგ-707“ თვითმფრინავს ნება დართეს განეგრძო რეისი, და იგი თავის 110 მგზავრიანად მშვიდობით დაჯდა ბეირუთის აეროპორტზე.

გამოძიების წინასწარი მონაცემებით, როგორც აქ ცნობილი გახდა, მომტაცებელს თან ჰქონდა ლიბიის მოქალაქის სახელზე გაცემული პასპორტი.

ბეირუთის წრეებში მიიჩნიეთ, რომ ახლო აღმოსავლეთში ცის მეკობრეობის განუწყვეტელი აქტები ამწვავებენ ამ რაიონის დაძაბულ ვითარებას.

გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა

პარიზი, 17 აგვისტო (საკლესი). საიგონის ადმინისტრაციამ დღეს ოფიციალურად გამოაცხადა, რომ წყვეტს დიპლომატიურ ურთიერთობას სენეგალთან ასეთ გადაწყვეტილებას, იუწყება ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი, იმით ასაბუთებენ, რომ სენეგალის მთავრობამ ივლისში ცნო დროებითი რევოლუციური მთავრობა როგორც სამხრეთ ვიეტნამის ერთადერთი კანონიერი მთავრობა.

საბჭოთა გამოფენაზე

სოლიდარობას უცხადებენ მთავრობას

16 აგვისტო. (საკლესი). ავღანეთის დედაქალაქში ქვეყნის სხვადასხვა რაიონებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ მოსახლეობა ფართოდ უჭერს მხარს რესპუბლიკის მთავრობასა და მის ღონისძიებებს.

ბახტარის სააგენტო იუწყება, რომ რესპუბლიკური რეჟიმისადმი სოლიდარობის მრავალი მატანი გაიმართა ამ დღეებში ფარვანის, ბადახშისა და გილმენდის პროვინციებში.

ახლა ავღანეთის ახალი მთავრობის მინისტრები მოგზაურობენ ქვეყანაში, ხვდებიან მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს. სოფლის მეურნეობისა და ირიგაციის მინისტრმა გულიმ ჯელანი ბაჰტარმა, რომელიც ფარვანის პროვინციის ტექნიკურ სპეციალისტებს ეწვია, მოუწოდა არ დაშურონ ძალ-ღონე. რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობის განმტკიცებისათვის.

ქაბულის პროვინციაში იყო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ნაზარ მოჰამედ ესკანდერი. მან ადგილობრივ ხელისუფალთა ყურადღება მიაპყრო ამას, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა

ეროგორ ემზადება ჩვენი რესპუბლიკის მშვიდობის დამცველთა მრავალრიცხოვანი აქტივი მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესისათვის, რომელიც ეძღვნება საერთაშორისო უშიშროებასა და განიარაღებას, ეროვნულ დამოუკიდებლობას, თანამშრომლობასა და მშვიდობას. რა მუშაობას ეწევა ამასთან დაკავშირებით საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტი? ამ კითხვით მიმართა საქინფორმის კორესპონდენტმა მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს, პოეტ ი. ონუაშვილს.

საქართველო ემზადება მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესისათვის

— მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი, რომელიც მოსკოვში გაიმართება მომდინარე წლის ოქტომბრის დამლევს, თქვა ამბ. ონუაშვილმა, მშვიდობისათვის საერთაშორისო მოძრაობის ისტორიის თვალსაჩინო მოვლენა იქნება. იგი გააჯერებ ტიტრებს მსოფლიოს ყველა პატიოსან, მშვიდობისმოყვარე და პროგრესულად განწყობილ ადამიანს, შექმნის სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური შეხედულების ორგანიზაციებისა და მოძრაობების ერთობლივი საქმიანობის პირობებს, შეიმუშავებს შემდგომი მოქმედების პროგრამას.

— ჩვენ დარწმუნებული ვართ, — ხაზგასმით აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილ მოსკოვის საზეიმო სხდომაზე, — რომ მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლაში დიდ როლს შეასრულებს მშვიდობისმოყვარე ძალების მომავალი მსოფლიო კონგრესი“.

ხალხთა უშიშროებისათვის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირი ყოველთვის იყო და არის მოწინავე ხაზზე. საბჭოთა სახელმწიფოს, ჩვენი პარტიის საგარეო პოლიტიკა შეესაბამება ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს, ყველაზე მსურვალე მისწრაფებებს.

საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის წარმატებულმა მშვიდობიანმა შეტევამ, რომელმაც მნიშვნელოვანი შემობრუნება მოახდინა ომისშემდგომ ისტორიაში, მთელი მსოფლიოს ხალხთა მზარდი აქტივობა გამოიწვია. იგი განსაკუთრებით გაძლიერდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის დიდმნიშვნელოვანი ვიზიტებისა და ამ ვიზიტების შედეგად მიღწეული შეთანხმებების გავლენით, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამა, რომლის თანამიმდეგრეული განხორციელება თვითეული საბჭოთა ადამიანის წმიდათა წმიდა მოვალეობაა, გულდაჯერებით კაფავს საერთაშორისო ვითარებაში პოზიტიური ცვლილებების გზას და მთელ მსოფლიოში მილიონობით მოიზრეს იძენს.

ამ ახალ, დამაიმედებელ ვითარებაში, ჩვენი სახელმწიფო ცდილობს, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ყველა კეთილი ნების ადამიანის მონაპოვრები და მსოფლიოს ხალხებმა ერთად გადადგან ახალი ნაბიჯი მშვიდობისა და თანაშშრომლობის შემდგომი განმტკიცების გზაზე. ეს მოითხოვს ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის და ომისა და აგრესიის წინააღმდეგ მოძრაობების ერთობლივი მოქმედების განვითარებას. სწორედ ამიტომ, მშვიდობისათვის მებრძოლი სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების მოქმედების მრავალმხრივი კოორდინაციის მიზნით მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ინიციატივით იწვევენ მოსკოვის კონგრესს. იგი იქნება საერთაშორისო უშიშროებისა და განიარაღებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის მებრძოლი ძალების ფორუმი. კონგრესს დიდი მნიშვნელობა ექნება მთელი მსოფლიოს მშვიდობის დასაცავად მებრძოლი ძალების თანამშრომლობისა და ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოებისათვის.

ქართველი ხალხი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი ერთსულოვნად მიესალმება და მხარს უჭერს მოსკოვის კონგრესის მოწვევას. მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურმა კომიტეტმა „ეროვნული ერთიანობა“ — ეს ... ...

ფრიალებს უნივერსიადის ალმები

პირველი ჩემპიონები, მედლები, რეკორდები

სტუდენტთა მსოფლიო თამაშებზე — მოსკოვის უნივერსიადა-73-ზე

მოსკოვი. 18 აგვისტო. (ტელეფონით სპეც. კორ.). ასე საზეიმოდ მორთული დიდი ხანია არ ყოფილა ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი ლუჟნიკში. 70 დრაშა — 70 ქვეყნის სიმბოლო ფრიალებს ტრიბუნის ირგვლივ ადამართულ მაღალ ანძებზე.

„სპორტის დედოფალს", როგორც სამართლიანად ეძახიან მძლეოსნობას, ცხადია, მონაწილეთა ყველაზე დიდი რაოდენობა ჰყავს — 730 სპორტსმენი 55 ქვეყნიდან. შეჯიბრების ორგანიზატორები ვერ დაემდურებიან ტრიბუნებზე გულშემატკივართა რიცხვსაც.

დღეს პირველ მაღლიცვებს იღებს ხმოლენსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე კურსის 26 წლის დინამოელი სვეტლანა კოროლიოვა, რომელმაც უნივერსიადის პირველი ოქროს მედალი მოიპოვა შუბის ტყორცნაში. მისი შედეგი 62 მეტრი თამაშების ახალი რეკორდია. მიუხედავად ოლიმპიადის პრიზიორი კრეტი შმიდტი (ამერიკის შეერთებული შტატები) მას თითქმის ორი მეტრით ჩამორჩა.

დიდ წარმატებას მიაღწია ალრეთვე 27 წლის ლენინგრადელმა სტუდენტმა ვასილ ეროკინმა, რომელმაც უნივერსიადის ოქროს მედალი მოიპოვა ბირთვის კვრაში — 19,56 მეტრი.

დაძაბული გამოდგა რბენა 10 ათას მეტრზე. თავიდანვე დაწინაურდნენ საბჭოთა მძლეოსნები ვ. მონაზოლოვი და კ. სიმონეკიჩი. მაგრამ, როგორც იტყვიან, მათ „სუნთქვა" ბოლომდე არ ეყოთ და გამარჯვებულს საკმაოდ შორს ჩამორჩნენ. ჩემპიონობა მოიპოვა ბელგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტმა დანიელ კორიცამ, 28, 49,0— უნივერსიადის ახალი რეკორდი!

შეჯიბრების პირველ დღეს საკვალიფიკაციო სტარტები თბილისელმა სტუდენტმა ანატოლ მოშიაშვილმა აუჩქარებლად გაირბინა — 110 მეტრი თარჯებით — 14,26, რამაც საშუალება მისცა გახულიყო ნახევარფინალში.

კარგად დაიწყეს ტურნირი ფიზკულტურის ინსტიტუტის მანეჟში გამართულ ხალიჩებზე ჩვენი რესპუბლიკის კლასიკური სტილის მოჭიდაველებმაც. მეორე საშუალო წონაში მსტატე ბოგლიჩიძემ დაამარცხა უეგოსლავი დარკო ნიშავიჩი, მიხეილ სალაძემ (ქვემძიმე წონა) მოუგო რუმინელ ანდრიან საბლოვსკის, ხოლო ჯემალ მეგრელიშვილმა (მსუბუქი წონა) მეხუთე წუთზე ლამაზი ილეთით ბეჭებზე გააკრა ბულგარელი ხ. ლაზაროვი. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მოჭიდავე თავდაპირველად აგებდა ბრძოლას.

ოცდათერთმეტი ქვეყნის 84 ჩოგბურთელი ებრძვის უნივერსიადის ჩემპიონთა სახელისათვის. მათ შორის არიან თბილისელები ალა ივანოვა და თეიმურაზ კაკულია, რომელიც აქ ჩამოვიდა პირდაპირ იტალიიდან — ევროპის პირველობიდან. უნივერსიადაზე თ. კაკულია, ასე ვთქვათ, სამი სასით ებრძვის — ეჯი მონაწილეობს ერთეულთა და წყვილთა (ა. ვოლკოვთან და ვ. მოროზოვთან) ასპარეზობაში. შეჯიბრების პირველ დღეს კაკულიამ ადვილად მოუგო გვინეის ინსტიტუტის სტუდენტს კარლო ბორეას — 6:3, 6:1.

თ. კაკულია თავის პარტნიორთან ერთად წყვილთა თანრიგში გამოვიდა შეჯიბრების მეორე წრეში. ქართა წყვილებში მოსკოველმა ო. მოროზოვამ და რიგელმა პ. ივანოვამ დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელები ლ. კუჟელოვა-ვ. ვოლკაოვა— 6:1, 6:1 და მეორე წრეში შეხვდებიან ჰ. ზელტენრაიხი-ბ. ვუსტლის (გფრ) წყვილს.

ქალთა ერთეულებში ო. მოროზოვამ მოუგო პაკისტანელ რ. მუნირ-ახმატს 6:0, 6:1.

კალათბურთელთა ტურნირის ფავორიტებად ითვლებიან საბჭოთა გუნდები. ქალებმა პირველ წრეში მოუგეს ამერიკელებს 92:43 (40:21), ხოლო ვაჟებმა — სირიის ნაკრებს— 110:42 (56:14). ამ მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო მიხეილ ქორქია, რომელმაც გუნდს 22 ქულა შესძინა.

საბჭოთა გუნდებმა წარმატება მოიპოვეს ფრენბურთშიც: ვაჟებმა დაამარცხეს უნგრეთის გუნდი — 3:0, ქალებმა კი — კუბის ნაკრები — 3:1.

პირველი გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა წყალბურთელებმა, რომლებმაც ანგარიშით 16:0 მოუგეს ჩეხოსლოვაკიის გუნდს.

დიდ წარმატებას მიაღწია ლეონიდ ასპირანტმა ვასილ სტანკოვიჩმა, რომელიც უნივერსიადის ჩემპიონი გახდა რაპირისტთა შორის.

ჩვენი რეპორტიორი ლუჟნიკით დავიწყეთ და გვინდა ლუჟნიკით დავამთავროთ. აქ სპორტის სასახლეში აღტაცებულმა მაყურებელმა ოვაცია გაუმართა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებს — ო. კორბუტს, ლ. ბურდას, ლ. ბოგდანოვას და ვ. სადოს, რომელთაც ენთუზიაზმის ჩემპიონობა მოიპოვეს — 114,45 ქულა. პირად ჩათვლაში 38,80 ქულით საუკეთესო იყო ო. კორბუტი.

ო. ნოზაძე.

ზაფხული რიწის ტბაზე.

გ. ბოგოზიას ფოტო.

ᲛᲝᲡᲬᲠᲝᲗ...

პირველი სიტყვები, რომლებიც რუსულ ენაზე შეისწავლა უნივერსიადა-73 ზოგიერთმა მონაწილემ, მეტად მოულოდნელი გამოდგა მსოფლიო სტუდენტურ ასპარეზობათა მასპინძლებისთვისაც. ეს იყო: „აბა, დამაცადე!...". სამწუხაროა, რომ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინტერნაციონალური კლუბის გახსნის დროდან აქ უჩვენებენ ჩვენს ქვეყანაში პოპულარულ მულტფილმს, სადაც მოქმედი პირები არიან კეთილი და მგელი. ამ პერსონაჟების სასაცილო ფიზიოგანომიებმა ამდენად გაიტაცეს მაყურებლები, კლუბის დამსწრენი, რომ მათი დაინტერესებული თხოვნით კინოდარბაზის ეკრანზე ხშირად უჩვენებენ ამ სურათის სერიებს.

...ინტერკლუბის ცხოვრება მის ფარგლებში როდია ჩაკეტილი. მაგალითად, იტალიელებმა მოისურვეს ექსკურსია მოეწყოთ ტრეტიაკოვის გალერეაში.

ჩვენს დედაქალაქში ექსკურსიების გარდა, სპორტსმენები დადიან თეატრებში. კონცერტებზე. ყველაზე მეტი განაცხადი ცირკშია. ყოველდღე ცირკში დადის ასპარეზობის ოფასამდე მონაწილე. მაგრამ დავუბრუნდეთ ინტერკლუბს. აქ ბევრი რამ არის იმისთვის, რომ თავისუფალ დროს შეიქცეონ თავი. აქ არის სათამაშო ავტომატები, კაფე-სალონი, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრის დარბაზი, და რა თქმა უნდა, ცეკვები ორკესტრის თანხლებით, რომელსაც ვიტალი კლეინერტი, საჯაზო ორკესტრების კონკურსის ლაურეატი ხელმძღვანელობს. ცეკვებზე ინტერკლუბში ყველაზე მაღალი ქალაშვილიც კი მოძიებნის თავის შესაფერ პარტნიორს...

საინტერესოა საჭადრაკო ოთახიც. „ოთხი მხედრის კლუბი" ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გახდა. აქ შეიძლება არა მარტო ერთმანეთთან თამაში, არამედ ძალების გამოცდა თამაშის ერთდროულ სეანსში ცნობილ საბჭოთა მოჭადრაკეებთან.

ინტერკლუბის მხიარული, მეგობრული ატმოსფერო მოსწონთ სტუდენტებს. გვიან საღამოობით ძლივს იშლებიან ხოლმე სტუმრები... (საკლესი).

სპორტული ამგები

ფეხბურთი. 16 აგვისტოს კიევში გაიმართა პირველი ნახევრფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე მოსკოვისა და ადგილობრივ დინამოელებს შორის. ანგარიში მე-14 წუთზე გახსნეს სტუმრებმა — ევროიუეხინის დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა — 1:0. მასპინძლები ბევრს ხანგრძლივად უტევდნენ, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ 66-ე წუთზე კოლოტოვის მიერ თერმეტმეტრიანით გატანილი ბურთით მოახერხეს კიეველებმა ანგარიშის გაქანთვა — 1:1. შემდეგი თამაში გაიმართება მოსკოვში 12 სექტემბერს.

ᲒᲐᲓᲠᲐᲙᲘ. პეტროპოლისის საზონთაშორისო ტურნირზე გუშინ გათამაშდა უკანასკნელი ტური. მანამდე კი, 16 აგვისტოს, ბოლოსწინა ასპარეზობები ორ ეტაპად მოეწყო — დილით ძირითადი შეხვედრები, საღამოს — გადადებული პარტიების დამთავრება. აი შედეგებიც: ტაბბა წაადო პოლუგაევსკისთან, რეშევსკიმ — სავონთან, ლიუბოევიჩმა — გეორგიუსთან, კაგანმა — მეკინგთან; ბაიასსმა მოუგო ჰუგს, ბრონშტეინმა (საღამოსწინა ტურში გადადებული პარტია) — ტანს. ყაიმით დამთავრდა ივანოვ-ბელიარის, პანო-სმისლოვის, ჰორტ-კერესისა და პორტიმბრონშტეინის შეხვედრები.

გადამწყვეტი ტურის წინ ლიდერთა მდგომარეობა ასეთი იყო: პორტიში და მეკინგი — 11,5-11,5 ქულა, ბელიარი — 11, პოლუგაევსკი — 10,5, სმისლოვი და პორტი თა-ითა ქულა; ბრონშტეინს 9,5 ქულა ჰქონდა, სავონს, ლიუბოევიჩს, ივანოვს და რეშევსკის 8,5-8,5. ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებოდნენ: მეკინგი-ლიუბოევიჩი, პოლუგაევსკი-პორტიში, ბელიარი-პანო, სმისლოვი-კარტი, ბრონშტეინი-რეშევსკი, სავონი-ბაიასსი, კერესი-ტანი, გეორგიუ-ივანოვი და ჰუგი-კაგანი.

ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ მიმდინარეობს პროფკავშირების ჩემპიონატი ქალთა შორის. „გათამაშდა ოთხი ტური. 3,5 ქულით ტურნირს ლიდერობს საკთამორისო ოსტატი ნინა ალექსანდრია, რომელმაც ახალგაზრდა მოსკოველ გოდლევსკაიასთან ყაიმის შემდეგ დაამარცხა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ბელი, სამული და ვენდროვა. განსაკუთრებით ეფექტური იყო მისი გამარჯვება შულთან, როცა ალექსანდრიამ ორი ფიგურის შეწირვით მოეგერიებელი ღერეში მიიღო.

ᲬᲧᲚᲙᲕᲔᲨᲘ ᲪᲣᲠᲕᲐ. ლიტვის ქალაქ ტრუკაისთან გაიმართა სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა შეჯიბრება. წყალქვეშ ორიენტირებაში. პირად ჩათვლაში აბსოლუტური ჩემპიონების წოდება მოიპოვეს ალმაათელმა ნადეჟდა ტურუკალომ და ნოვოსიბირსკელმა ალექსანდრე სმირნმა. გუნდურ ასპარეზობაშიც სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა ნაკრებები პირველობდნენ.



ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ

☐ 20 აგვისტო

პირველი პროგრამით

18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ეერტილი, ეერტილი, მძიმე"..., 19.35 — მსოფლიო დღეს", 20.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „აკვლავ თამბაქოს შესახებ" (ქართულ ენაზე"), 20.10 — „ციბისძირის ნარინჯებში", 20.45 — „მოამბე", — საინფორმაციო პროგრამა, 24.15 — შეხვედრები საბჭოთა ავტომირის პირველობაზე — „დინამო" (კიევი) — „არარატი" (ერევანი). II ტაიმი (გადმოცემა კიევიდან), 22.15 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ფეტორინა", 23.35 — ფერადი ტელევიზია. „უნივერსიადა-73". (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

19.05 — კინოპროგრამა, 20.00 — კონცერტი, 20.45 — განცხადებები, 20.50 — მხატვრული ფილმი „ოგინსკის პოლონეზი".

☐ 21 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — მოსწავლეთათვის. „ნორჩ სპორტსმენთა დიდი არენა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". VI სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის. „მეხუთე შრომითი მეთხუთდი", 18.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ბუნების კარი", 19.25 — — დოკუმენტური ფილმი „მიწა, ადამიანი" (ქართულ ენაზე), 19.45 — „საკოლეგიურო ეკონომიკის განმტკიცებისათვის", 20.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". IX სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი, 22.45 — სპორტული კვირეული, 23.00 — ფერადი ტელევიზია. „უნივერსიადა — 73" (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

19.05 — სატელევიზიო ფილმი, 20.10 — კინოპროგრამა, 20.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა „ცოდნა", 21.20 — განცხადებები, 21.25 — ქართული მხატვრული ფილმი „ხვიხი შვილები".

☐ 22 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — მოსწავლეთათვის. „ნორჩების შემოქმედება" — თბილისის რკინიგზის ცენტრალური სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი „მერცხალი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". VII სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — კინოპროგრამა, 13.10 — „ტყავის ბურთის პრიზზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის. „ტყეს გაუფრთხილდი, ძმობილო!", 18.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ველი და მანქანები" (ქართულ ენაზე), 18.55 — რეკლამა, 19.05 — „კინონი და კინოინდუსტრია", 19.25 — კინონარკვევი, 19.45 — „შეჯიბრება წარმატების საწინდარია", 20.05 — კინონარკვევი, 20.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". X სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო დიდგმა „უკანასკნელი წვეულება". საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები (პრემიერა).

მეორე პროგრამით

19.05 — კინოპროგრამა, 20.00 — კონცერტი, 20.45 — განცხადებები, 20.50 — მხატვრული ფილმი „ოგინსკის პოლონეზი".

☐ 23 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — ბავშვებისათვის. ნახატი ფილმი, 11.15 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". VIII სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.25 — სატელევიზიო დადგმა, 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — განცხადებები, 18.20 — ბავშვებისათვის. „მოვიარეთ მთა და ბარი", 18.45 — „ტელეტურნირი", 19.35 — საერთაშორისო მომოხილვა, 19.50 — „ჰიდრომშენებლობა და შიდაწყლების თევზების დაცვა", 20.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". XI სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი რუმინელ მხახიობთა მონაწილეობით, 23.00 — ფერადი ტელევიზია. „უნივერსიადა — 73" (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

19.05 — კინოპროგრამა, 20.00 — სატელევიზიო დადგმა, 21.00 — კონცერტი, 21.40 — მხატვრული ფილმი „უკანდასასვლა გზა მოჭრილია" (II სერია).

☐ 24 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — მოსწავლეთათვის. „პიონერული ზაფხული" (გადმოცემა მოსკოვიდან),

მეშახტის დღისადმი მიძღვნილ გადმოცემას ნახავთ კვირას, 26 აგვისტოს, დღეს 1 საათზე.

11.10 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". IX სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.35 — „საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ფეტორინა", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — „ჩვენი თანამედროვენი", 18.40 — „პანსიონატ „სპორტის" ერთი დღე", 18.55 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა, 19.55 — „კინონიერების სადარაჯოზე", 20.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". XII სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ეტალიელი კომპოზიტორები" — ვერისტები, 23.20 — ფერადი ტელევიზია. „უნივერსიადა — 73" (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

19.05 — კინოპროგრამა, 20.00 — განცხადებები, 20.05 — რეკლამა, 20.15 — კონცერტი, 21.00 — მხატვრული ფილმი „უკანდასასვლა გზა მოჭრილია" (III სერია).

☐ 25 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. „ტანვარჯიში ყველასათვის" (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის. „ეეზინის სამყაროში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ქართული მხატვრული ფილმი „ხვიხი შვილები", 12.15 — „ადამიანი, დედამიწა, სამყარო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის", 13.45 — კინონარკვევი, 14.00 — მღერის მედია ამირანაშვილი, 15.30 — წარსული წლების კინოფირები — „ეუეუნას მზითევი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.45 — „პოლიტიკური ენციკლოპედია", 18.10 — „პოეტი სტუდიაში" — ზურაბ ლორთქიფანიძე, 18.30 — „ზრდის ტემპები — ხუთწლედის დონეზე", 18.55 — ფერადი ტელევიზია. „უნივერსიადა — 73"-ის საზეიმო დახურვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — საესტრადო კონცერტი, 20.25 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა 21.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი). II ტაიმი. (გადმოცემა მოსკოვიდან), 21. 45 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „შრომისა და სიმღერის ადამიანები" — თერჯოლა, 23.40 — ფერადი ტელევიზია. „უნივერსიადა — 73"-ის შედეგები (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

19.05 — კინოპროგრამა, 19.35 — სატელევიზიო დადგმა „უკანასკნელი წვეულება". საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები, 20.55 — საესტრადო კონცერტი, 21.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „წერტილი, წერტილი, მძიმე"...

☐ 26 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.05 — ბავშვებისათვის. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის. „მოსკოვის ზოოპარკში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11,00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 12.00 — „დღეს მეშახტის დღეა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — ფერადი ტელევიზია. „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — კინოპროგრამა, 13.20 — ბავშვებისათვის. საბავშვო ოკალურ-ინსტრუმენტულ ორკესტრ „ფერუნის" კონცერტი, 14.00 — „კინოაფიშა", 14.30 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — კინონარკვევი, 15.10 — „დიდი ბალეტი", 16.00 — ლიტერატურული შეხვედრები — „ჯეიმს ოლდრიჯი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.45 — ფერადი ტელევიზია. „კინომოგზაურობის კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა „ცოდნა", 18.10 — კინონარკვევი, 18.35 — საესტრადო-გასართობი პროგრამა, 19.25 — „თვიდან თვემდე" — ლიტერატურული ჟურნალი, 20.25 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „მშვიდობის პროგრამა — მოჭიდაობაში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო ფილმი.

მეორე პროგრამით

19.05 — კინოპროგრამა, 20.00 — კონცერტი, 20.45 — სატელევიზიო დადგმა, 21.45 — მხატვრული ფილმი — „გზა რუბეცალისაკენ".

ᲐᲐᲘᲜᲓᲘ

ᲓᲦᲔᲡ, 18 აგვისტოს, **ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ** მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან მცირე წვიმა, ხუხტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 24-28, მთაში 21-25 გრადუსი სითბო.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ცვალებადი მოღრუბლულობა უმეტესად უნალექოდ, იქროლებს დასავლეთის ქარი წამში 5-9 მეტრი, მტკვრის ხეობაში წამში 10-14 მეტრი სიძლიერისა, ტემპერატურა ბარში 28-32 გრადუსი, მთა რაიონებში 21-25 გრადუსი სითბო.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი წამში 5-9 მეტრი სიძლიერისა, ტემპერატურა 30-32 გრადუსი სითბო.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

18 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. „ტანვარჯიში ყველასათვის" (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის კონცერტი. 11.00 — კინონარკვევი „ტაივიდან უდაბნომდე" (ქართულ ენაზე), 11.15 — წარსულის კინოლენტები. მხატვრული ფილმი „მერი პიკფორდის კოცნა", 12.15 — „30 წუთი კინოსმოყვარულთათვის", 12.40 — „ჯადოსნური ეკრანი" (ქართულ ენაზე) „ზოლიანი ვეფხვვები" და „აბა დამაცადე!". 13.00 — „მეცნიერებისა და კულტურის აქტუალური პრობლემები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — კინონარკვევი, 13.45 — საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — „ბავშვურზოლდეი ეროვნულ საუნჯეს", 14.35 — კინონარკვევი, 14.45 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა ლენინგრადიდან), 15.15 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.40 — ფერადი ტელევიზია „ცხოველთა საფარველში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 — მოსკოვის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კოლხიდას" კონცერტი, 18.10 — „ჩვენი სპორტის პრობლემები" — ხელბურთი, 18.35 — „მხატვარი თავისუფლების კუნძულზე", 18.55 — კინონარკვევი, 19.15 — სატირული-იუმორისტული ჟურნალი „ოქრომპირი", 20.05 — კინონარკვევი, 20.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". (VII სერია, გადმოცემა მოსკოვიდან). 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ტელეტურნირი, 23.20 — „საესტრადო მელოდიები".

მეორე პროგრამით

19.05 — კინოპროგრამა, 20.00 — კონცერტი, 20.50 — რეკლამა, 21.00 — დოკუმენტური ფილმი, 22.00 — მხატვრული ფილმი „მეგრძოლება".

ᲠᲐᲓᲘᲝ

18 აგვისტო

პირველი პროგრამით

09.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.15 — „გამარჯობა, ამხანაგო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — მღერის ეროვნული კვარტეტი „როიალ ნარტსი", 11.20 — „მოკლე ტალღაზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — მ. მუსორგსკი „სურათები გამოფენიდან". ბლაზენოვის სავიოლინო კონცერტი, 12.45 — „ხუთწლედის ახალმშენებლობანი", 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — „სამშობლოს ფრთვები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „ზეით „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.45 — ს. მირიანაშვილი. სიმღერები, 14.00 — ჯ. ლორთქიფანიძე „ნატვრის თვალი". რადიოდადგმა. 15.00 — გ. დონიცეტი. ოპერა „რიტას" მონტაჟი, 16.15 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 16.30 — „მხიარული ტალღაზე", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. საყმაწვილო ოპერა „მამაცი წიწილები", 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი, 19.30 — „ჩვენი ბავშვთა ჩანაწერები", 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — ჯ. მოცარტი — სიმფონია დო მაჟორი და ექვსი გერმანული საცეკვაო. 21.00 — „ძილისპირული". 21.15 — ახალგაზრდობისათვის „სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია?!". 21.45 — საერთაშორისო დღიური (გადმოცემა ჰოსკოვიდან), 22.00 — „საღამო მშვიდობისა!". 23.30 — საესტრადო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲓᲐᲕᲘᲯᲔᲠᲗ

შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

შეკითხვა: მუშებსა და მოხამსახურეებს, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, მეცადინეობისთვის ეძლევათ თუ არა თავისუფალი დრო?

გ. შერგელაშვილი,
თბილისი.

პასუხი: უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სალექციო და დაუსწრებელი განყოფილებების მოსწავლეებს უფლება აქვთ საგიპლომო პროექტის (ნაშრომის) მოამზადების ან სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების დაწყებამდე ათი სასწავლო თვის განმავლობაში მეცადინეობისათვის მთელი სამუშაოსაგან თავისუფალი ერთი დღე კვირაში ხელფასის 50 პროცენტის ანაზღაურებით. ხუთდღიანი სამუშაო კვირის არსებობისას მათ შეუძლიათ ისარგებლონ შესაბამისი თავისუფალი საათებით, მაგრამ ეს საათები არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ დღეს.

შეკითხვა: მუშა-მოსამსახურე ქალებს, რომლებმაც ბავშვი იშვილეს, ეკუთვნით თუ არა შვებულება?

ქ. ბუჩიკაზოვა,
თბილისი.

პასუხი. ქალებს, რომლებმაც ახალშობილი ბავშვი იშვილეს უშუალოდ სამშობიარო სახლიდან, ეძლევათ შვებულება ბავშვის შვილად აყვანის დღიდან ვიდრე ბავშვის დაბადებიდან გავიდოდეს ორმოცდათექვსმეტი დღე. ამ ხნის განმავლობაში მათ ეძლევათ დახმარება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით, ავრეთვე ყველა ის შედეგათები და უპირატესობანი, რაც კანონით დადგენილია მეძუძური დედებისათვის.

შეკითხვა: სახელმწიფო პენსიის დანიშვნისათვის საჭირო მუშაობის სტაჟი შეიძლება თუ არა დადგენილ იქნას მოწმეთა ჩვენებით?

ხ. ქვინიკაძე,
თბილისი.

პასუხი: ამ შემთხვევაში, თუ არ არსებობს დოკუმენტები მუშაობის ფაქტიური სტაჟის შესახებ და შეუძლებელია მათი მიღება დაწესებულების ან საწარმოს სრული ლიკვიდაციის გამო ან საარქივო ძასალება უქონლობის გამო, პენსიის დანიშვნისათვის საჭირო მუშაობის სტაჟი შეიძლება დადგენილ იქნას ორი ან მეტი მოწმის ჩვენების საფუძველზე. ამასთან აუცილებელია, რომ ერთ-ერთი მოწმე იცნობდეს განმცხადებელს ერთ საწარმოში (დაწესებულებაში) ან ერთ სისტემაში ერთად მუშაობით.

დანაკლისი მუშაობის სტაჟის მოწმეთა ჩვენებით დადგენა შეიძლება ამ პირობით, თუ პენსიის დანიშვნისათვის საჭირო სტაჟის არანაკლებ ნახევრისა დადგენილია დოკუმენტებით.

შეკითხვა: მუშებსა და მოხამსახურეებს შეთავსებითი მუშაობისათვის გადახდენათ თუ არა ხაშმოხავლო გადასახადი?

ნ. ლუხუტაშვილი,
თბილისი.

**